PDF Eraser Free

დაწართი

სსიპ-კოლეჯი „იბერია“

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა შარაბიძე

წევრები:

ელენე ბოდაველი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - დარგის ექსპერტი "ზუღალტრული აღრიცხვა";
მაგული მებონია - დარგის ექსპერტი - "ელექტროობა";
მანანა კობალაძე - დარგის ექსპერტი - "სამკერვალო წარმოება";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

ნინო ბოკუჩავა - დარგის ექსპერტი - "თმის მომსახურება";
მამუკა ხოშტარია - დარგის ექსპერტი - "ხის მხატვრული დამუშავება";
თამარ ლომინაძე - დარგის ექსპერტი - "ინფორმაციის ტექნოლოგია", "კომპიუტერული ქსელი და სისტემები", "ვებტექნოლოგიები";
ნანა შათირიშვილი - დარგის ექსპერტი - "კულინარიის ხელოვნება", "სარესტორნო მომსახურება", "სასტუმრო მომსახურება";
თამარ ზარანდია - დარგის ექსპერტი - "მეხილეობა-მეჩაიეობა";
გივი დოლიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "შედუღება".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

I. [redacted] დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „იბერია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 15.04.2022 წლის #395898 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ელენე ბოდაველი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი);
3. მაია ხურცილავა - დარგის ექსპერტი (წევრი) - "ბუღალტრული აღრიცხვა";
4. მაგული მებონია - დარგის ექსპერტი (წევრი) - "ელექტროობა";
5. მანანა კობალაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "სამკერვალო წარმოება";
6. ნინო ბოკუჩავა - დარგის ექსპერტი (წევრი) - "თმის მომსახურება";
7. მამუკა ხოშტარია - დარგის ექსპერტი (წევრი) - "ხის მხატვრული დამუშავება";
8. თამარ ლომინაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "ინფორმაციის ტექნოლოგია", "კომპიუტერული ქსელი და სისტემები", "ვებტექნოლოგიები";
9. ნანა შათირიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - "კულინარიის ხელოვნება", "სარესტორნო მომსახურება", "სასტუმრო მომსახურება";
10. თამარ ზარანდია - დარგის ექსპერტი (წევრი) - "მეხილეობა-მეჩაიეობა";
11. გივი დოლიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "შედუღება".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რისთვისაც ჯგუფს დაევალა 2-6 მაისს ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ ,,იბერიაში“, შემდეგ მისამართებზე: ქ.ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61, ნიკეას ქ. N15.

ვიზიტამდე, ესპერტთა ჯგუფმა შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი და ცენტრის შუამავლობით შეათანხმა სსიპ კოლეჯთან „იბერია“. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ჯგუფმა განსაზღვრა დამატებით შესასწავლი დოკუმენტაციის ნუსხა. ვიზიტი წარიმართა სსიპ კოლეჯ ,,იბერიაში“ მისამართზე: ქ.ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61 და ნიკეას ქ. N15 2022 წლის 2, 3, 4, 5 და 6 მაისს.

2 და 3 მაისს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დაწესებულების პირობების ავტორიზაციის პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, მათ შორის კოლეჯის ადმინისტრაციასთან, სამსახურების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება, ხოლო 4, 5 და 6 მაისს 13 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის გადამოწმება. რომლის დროსაც განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებლებთან, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება.

ვიზიტის დროს, ექსპერტების მხრიდან დაზუსტდა ინფორმაცია მოკლევადიანი მომზადება / გადამზადების პროგრამების შესახებ. კოლეჯი ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოკლევადიან მომზადება / გადამზადების პროგრამებს. კერძოდ, ქ. ქუთაისში (ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61, ნიკეას ქ. N15) დაწესებულებას შემიშავებილი აქვს 6 მომზადება/ გადამზადების პროგრამა, მათ შორის 3 პროგრამაზე ვისზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სწავლება დაწესებულიების მიერ შემუშავებული და 2022 წლის 18 თებერვალს, N34 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროფესიული მომზადება / პროფესიული გადამზადების პროგრამის განვითარება, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
ხორციელდება შემდეგ რეგულაციებსა და ინსტრუმენტებზე დაყრდნობით: პროგრამების დაგეგმვა, ახალი პროგრამების დამატება, კვლევების ჩატარება, მტკიცებულებათა ვერიფიკაცია და სხვა.

ვიზიტი წარიმართა მშვიდ და საქმიან გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☐	☒	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDFEraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა.

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

დაწესებულებაში წინა ვიზიტი დისტანციურად განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების „შედუღება“ და „ვებტექნოლოგიები“ განხორციელების მოპოვების მიზნით, აღნიშნულ პროგრამებზე 2.2 კომპონენტში დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა გაუმჯობესების გეგმა, შედუღების C გარემოს მოწესრიგების და ორივე პროგრამის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის მიზნით.
ვიზიტის დროს მოხდა აღნიშნული გეგმის შესრულების გადამოწმებაც. საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვებტექნოლოგიები“ სტანდარტი დაკმაყოფილებულია (დაწვრილებით იხილეთ მეორე სტანდარტის აღწერილობითი ნაწილი პროგრამისათვის „ვებტექნოლოგიები“)
საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შედუღება“ C გარემოში არ იყო დასრულებული სარემონტო სამუშაოები, ვინაიდან ადრე დამონტაჟებული სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფდა შესაბამის პირობებს. შესაბამისად არც აღჭურვილობა იყო სივრცეში განთავსებული, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო ფართის გვერდით აუდიტორიაში დასაწყობებულია შედუღებისთვის განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც შეუსაბამო. დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წრმოდგენილ იქნა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, თანდართული დოკუმენტებით, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამისათვის „შედუღება“ C გარემო უმეტესწილად დასრულებულია, რაც გამოგზავნილი ფოტომასალითაც დასტურდება და საბოლოოდ სამონტაჟო სამუშაოების დასრულების ვადად გაწერილი აქვთ 01.09.2022წ. ამიტომ აღნიშნული პროგრამის 2.2.1.1 ინდიკტორთან შესაბამისობა განისაზღვრა როგორც მეტწილი.
(იხილეთ მეორე სტანდარტის აღწერილობითი ნაწილი საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შედუღება“).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VII . რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები

4.1.1.1

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან კოლეჯის „იბერია“ თანამდებობრივ ინსტრუქციაში გაწერილი არ არის დაწესებულებაში რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების (მაგ.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, სტუდენტური სერვისების კოორდინატორი და სხვ.) ფუნქციები, ამავე დროს არსებული პირები/სტრუქტურების ფუნქციები არ არის გამიჯნული სამუშაო აღწერილობებისგან (იხ. ინდიკატორის 4.1.1.1. დეტალური აღწერა).

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ინდიკატორი შეფასდა <u>როგორც მეტწილი,</u> ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

4.1.1.2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან სტუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხიმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას (მაგ. დაწესებულების სამოქმედო გეგმაში ჩართულ მხარედ მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომლის ფუნქციები და პასუხისმგებლობები დაწესებულებას გაწერილი არ აქვს)

(იხ. ინდიკატორების 4.1.1.1. და 4.1.1.2 დეტალური აღწერა).

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

4.1.1.3

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორი პირიდან (ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი) ერთ-ერთის - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქციები და მოვალეობები არ არის გაწერილი და შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გადამოწმება შეუძლებელია.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

4.1.2.1

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. კერძოდ, პერსონალის მართვის პროცესი (პერსონალის მოზიდვა) ვერ განხორციელდება კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და დადგენილი წესის შესაბამისად, რადგან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, პერსონალის ეფექტური მართვისთვის ითვალისწინებს თითოეული პერსონალის მიმართ დადგენილი სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ქონას, აღნიშნული აღწერილობები და მოთხოვნები დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს.

(იხ. ინდიკატორის 4.1.2.1. დეტალური აღწერა).

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

4.1.2.2

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალის შერჩევის პროცედურული ნაწილი სრულად ასახავს კადრების მოზიდვის პროცესს, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არა აქვს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტუროობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

(იხ. ინდიკატორის 4.1.2.2 დეტალური აღწერა).

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ინდიკატორი შეფასდა <u>როგორც მეტწილი,</u> ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

4.1.2.3

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულებას არ აქვს გაწერილი თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ინდიკატორის 4.1.2.3 დეტალური აღწერა).

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

4.2.1.1

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას. (იხ. ინდიკატორის 4.2.1.1. დეტალური აღწერა).

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე დაწესებულება ცვლილებას განახორციელებს სამოქმედო გეგმაში და უზრუნველყოფს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას, „თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქციის“ შესაბამისად.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

5.1.1.5

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულას არ ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ქ.უთაისი, ნიკეას ქ.15 მისამართზე არსებულ ფართში (იხ. ინდიკატორის 5.1.1.5. დეტალური აღწერა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე გაუფორმებს ხელშეკრულებას კანონმდებლობის შესაბამისად, სერტიფიცირებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს კოლეჯის ქ.ქუთაისის ორივე ლოკაციაზე (ზ.ანჯაფარიძის ქ. #61 და ნიკეას ქ.#15)

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

5.2.1.3

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით არ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. (იხ. ინდიკატორის 5.2.1.3. დეტალური აღწერა).

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებების და დამატების შეტანას პროფესიულ სტუდენტის ხელშეკრულების ფორმაში, კოლეჯის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ წესის შესაბამისად.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

5.1.2.1

დაწესებულებამ საევაკუაციო კიბის მონტაჟი დაასრულოს შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში (01.09.2022წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

5.1.2.3

დაწესებულებამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება დაასრულოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (01.09.2022წ.)

შესაბამისობის რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამებისთვის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“:

2.2.1.1.

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, ვინაიდან ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ რამოდენიმე დანადგარი, რომელიც პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალშია მითითებული ჯერ არ არის დამონტაჟებული და არ ფუნქციონირებს, მაგ: სალამანდრა, ცომის საბრტყელებელი, კრეპის აპარატი.

ასევე, არასრულია ვენტილაციის სისტემა, ადრე დამონტაჟებული გამწოვი დანადგარის სიმძლავრე არასაკმარისია და თან არ არის სწორად დამონტაჟებული, მოცემული ეტაპისათვის ვენტილაცია ხდება ფანჯრების გაღება / დაკეტვით.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალში მითითებული რამოდენიმე დანადგარის (სალამანდრა, ცომის საბრტყელებელი, კრეპის აპარატი) დამონტაჟებას და გამწოვი სისტემის გამართულ და ხარისხიან მუშაობას.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“

2.2.1.1

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეაფასა შეუსაბამოდ, რადგან მატერიალური რესურსი ვიზიტის დროს არ იყო დამონტაჟებული C გარემოში და დასაწყობებული იყო ამავე გარემოს გვერდით მდებარე შენობაში.

დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წრმოდგენილ იქნა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, თანდართული დოკუმენტებით, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამისათვის „შედუღება“ C გარემო უმეტესწილად დასრულებულია, რაც გამოგზავნილი ფოტომასალითაც დასტურდება და საბოლოოდ სამონტაჟო სამუშაოების დასრულების ვადად გაწერილი აქვთ 01.09.2022წ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

2.4.1.6

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეაფასა როგორც შეუსაბამო, გამომდინარე იქიდან, რომ C გარემო ჯერ არ არის აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, უსაფრთხოების საკითხები სპეციფიკის გათვალისწინებით ვერ შეფასდა. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დამონტაჟებისთანავე გამოაკრავენ უსაფრთხოების სპეციალურ წესებს და ინსტრუქციებს. კოლეჯს აღნიშნულ საკითხზე არ წარმოუდგენია შესაბამისობის გეგმა.

დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წრმოდგენილ იქნა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, თანდართული დოკუმენტებით, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამისათვის „შედეგება“ C გარემო უმეტესწილად დასრულებულია, რაც გამოგზავნილი ფოტომასალითაც დასტურდება და საბოლოოდ სამონტაჟო სამუშაოების დასრულების ვადად გაწერილი აქვთ 01.09.2022წ.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

განმავითარებელი რეკომენდაციები

1.1.1.3

სასურველია, ხედვა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ასახავდეს რისკენ ისწრაფვის დაწესებულება და განისაზღვროს ხედვაში გაწერილი მისწრაფებების მიღწევის სავარაუდო პერიოდი.

(იხ. ინდიკატორის 1.1.1.3 დეტალური აღწერა).

1.1.1.4

სასურველია, სამომავლოდ, სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას/ცვლილებისას, შეხვედრის ოქმებში სამუშაო ჯგუფის წევრებს (დაინტერესებულ მხარეებს) სახელისა და გვარის გარდა მიეთითოს პოზიცია/სტატუსი, მათი იდენტიფიცირებისა და ჩართულობის დასადასტურებლად. (იხ. ინდიკატორი 1.1.1.4 დეტალური აღწერა)

1.2.2.1

სასურველია, დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელოს საანგარიშო წლის განმავლობაში, გონივრულ ვადაში, ნაცვლად მარეგულირებელში მითითებული წლის ბოლოსა, რათა არსებობის შემთხვევაში დროულად გამოავლინოს შეუსაბამობები და უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტურობა. (იხ. ინდიკატორის 1.2.2.1 დეტალური აღწერა)

1.2.2.2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

სასურველია, დაწესებულების მიერ შესრულებული ანგარიში იყოს უფრო კომპლექსური ხასიათის, ვინაიდან შეფასება ძირითადად მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას შესრულებულ და ვერ/არ შესრულებულ საკითხებზე. არ არის გაანალიზებული შესრულებული ამოცანების ხარისხი, ასევე შეუსრულებელი ნაწილის შეუსრულობლობის მიზეზები - საჭიროა თუ არა იგივე ამოცანების მომავალი წლის გეგმაში გადატანა/კორექტირება, რაც დაეხმარება დაწესებულებას სამომავლო გეგმის უკეთ დაგეგმვასა და ეფექტიანობის გაზრდაში.
(იხ. ინდიკატორის 1.2.2.2. დეტალური აღწერა).

4.2.1.5

სასურველია, დაწესებულებამ დეტალურად გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წარდგენისა და განხორციელების პროცედურა.
(იხ. ინდიკატორის 4.2.1.5 დეტალური აღწერა).

5.1.2.4
დაწესებულებამ დარაჯების შრომითი ხელშკრულებით გაწერილი სამუშაო დრო განსაზღვროს შემუშავებული ცვლიანობის განრიგის შესაბამისად და დასვენების ხანგრძლივობა გაწეროს საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-4-ე და მე-7-ე პუნქტების შესაბამისად (იხ. ინდიკატორის 5.1.2.4 დეტალური აღწერა).

5.2.1.4
დაწესებულებამ საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტიანობის შეფასება განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შესაბამისად და აღნიშნული ასახოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და ხარისხის სამოქმედო გეგმებში. (იხ. ინდიკატორის 5.2.1.4 დეტალური აღწერა).

5.2.2.1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დაწესებულებამ გაასწოროს საქმისწარმოების წესით გაწერილი ხელშეკრულებების აღრიცხვის მექანიზმში, სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესში და შემოსულ კორესპონდენციაზე დაკავშირებული რეაგირების პროცედურაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობები.
(იხ. ინდიკატორის 5.2.2.1 დეტალური აღწერა)

5.2.3.3
სასურველია, დაწესებულებამ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში ასახოს ინფორმაციის გაცემის პროცედურა
(იხ. ინდიკატორის 5.2.3.3 დეტალური აღწერა).

5.2.3.5
სასურველია, დაწესებულებამ აწარმოოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი (იხ. ინდიკატორის 5.2.3.5 დეტალური აღწერა).

5.2.3.6
სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექნიზმების შემუშავება (იხ. ინდიკატორის 5.2.3.6 დეტალური აღწერა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.1.1.1

სასურველია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთების დროს, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთების გზამკვლევი დოკუმენტით. (აღნიშნული რეკომენდაცია საერთოა ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის)

2.1.1.3.

სასურველია, კოლეჯმა არსებული რეგულაციის მიხედვით გაწეროს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა რათა თვალსაჩინო იყოს დღეის მდგომარეობით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის თავსებადობა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასთან. (აღნიშნული რეკომენდაცია საერთოა ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის)

2.1.1.8

სასურველია, პროგრამის დამტკიცების/მასში ცვლილებების შეტანის დროს, ბრძანებაში მითითებულ იქნას რომელი მიღების პროფესიულ სტუდენტებს შეეხება აღნიშნული ცვლილება და რომელი გააგრძელებს სწავლას მილევად რეჟიმში დარჩენილი პროგრამით (აღნიშნული რეკომენდაციაც საერთო ხასიათისაა)

საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“

2.2.1.3.

სასურველია, განმახორციელებელ პერსონალს დაემატოს მაღალტექნოლოგიური, დარგობრივი სპეციალისტი ან არსებული კადრების გადამზადება მოხდეს მოქმედ რესტორნებში ან/და პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე

2.2.1.4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელს უშუალო შემხებლობა ქონდეს მოქმედ სამზარეულოსთან, რათა მეტი სიზუსტით მოხდეს სტუდენტებისთვის სამზარეულოს ფუნქციონირებისა და სტრესულ გარემოში მოქმედების ინსტრუქციების მიწოდება

საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა-მეჩაიეობა“

2.2.1.1

სასურველია, შემდგომში დაწესებულების ჩართულობით მოხდეს პარტნიორ ორგანიზაციასა და სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში სტუდენტების უფლებების, წახალისების ფორმების და სხვა პირობების გაწერა.

2.4.1.1

სასურველია, კოლეჯის ადმინისტრაციის და პარტნიორი ორგანიზაციის მიერ პერიოდულად გაკონტროლდეს პროფესიული სტუდენტის მიერ ჩანაწერების ჟურნალის მეტი სიზუსტით წარმოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს,

კერძოდ: მისია შეესაბამება შემდეგ მიზნებს - ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა. დაწესებულების მისიით განსაზღვრულია მისი როლი და იდენტობა, ასევე მომხმარებელთა რა საჭიროებების დაკმაყოფილებაზეა ის ორიენტირებული.

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან,

კერძოდ: დაწესებულების მისიით ირკვევა, რომ ის მულტიპროფილურია და სწავლების სფეროს რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. პსდ წარმოადგენს რეგიონულ კოლეჯს, რაც ასახულ მის მისიაშიც - სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოებრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
საქმიანობებში ჩართულობით, ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების როლი განათლების სისტემაში, რაც განასხვავებს მას სხვა პსდ-სგან.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები,

კერძოდ: დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, თუმცა ხედვაში იკვეთება რამდენიმე მიმართულება, როგორიცაა, ა) კოლეჯი პროაქტიულად და ეფექტიანად ავითარებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და შეთავაზებული სერსვისების ხარისხს; ბ) იზიდავს, ავითარებს და ინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსს; გ) სტუდენტებს სთავაზობს მათ მოთხოვნებზე მორგებულ სერვისებს, მათ შორის საერთო საცხოვრებლით მომსახურებას. დაწესებულების ხედვის აღნიშული მიმართულებები ასახავს კოლეჯში ამჟამად არსებულ მდგომარეობას, აღწერს მიმდინარე პროცესებს და არა იმას, თუ რისკენ ისწრაფვის დაწესებულება.

<u>რეკომენდაცია: სასურველია, ხედვა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ასახავდეს რისკენ ისწრაფვის დაწესებულება და განისაზღვროს ხედვაში გაწერილი მისწრაფებების მიღწევის სავარაუდო პერიოდი.</u>

დაწესებულების ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან, კერძოდ: ფოკუსირება მომხმარებელზე; ხარისხი და განვითარებისკენ სწრაფვა; თანაბარი შესაძლებლობები; ურთიერთპატივისცემა და გუნდური სულისკვეთება; გამჭვირვალობა და საჯაროობა, რაც შესაბამისობაშია მისიის შემდეგ პუნქტებთან - ქართული და საერთაშორისო შრომით ბაზრისთვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე სამუშაო ძალის მომზადება.მათ ინდივიდუალური, პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი,

კერძოდ: დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია (02.02.2022, N 17 ბრძანება). დოკუმენტის თანახმად, მისია, ხედვა და ღირებულებები სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურული ნაწილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

სტრატეგიული გეგმის ფორმირების პროცესი გულისხმობს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები) ჩართულობას. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიზნით, მარეგულირებელი ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის შექმნას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა გაზიარების მექანიზმები. დაწესებულებამ მტკიცებულებად პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალთა გამოკითხვის ანალიზის შედეგები (2022 წელი) წარმოადგინა. კვლევა მოწმობს, რომ გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა იცნობს დაწესებულების მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

შემუშავების/ცვლილების პროცესში დაინტერსებული მხარეების ჩართულობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა დაწესებულებაში არსებული წინარე პრაქტიკა. კერძოდ, შეისწავლა ახალი მეთოდოლოგიის დამტკიცებამდე არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების ფუნქციონირების საკითხი. პსდ-მ მტკიცებულებად წარმოადგინა სსიპ კოლეჯი: იბერიას“ სატრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზნით კომისიის მუშაობის სხდომის ოქმი N1 (13.12.2019). სხდომაზე განხილულ იქნა მისიის, ხედვისა და ღირებულების შემუშავების საკითხები. თუმცა, კომისიის სხდომის ოქმში მითითებული პირების სატუსის/პოზიციის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია არ არის მითითებული. ***<u>რეკომენდაცია: სასურველია, სამომავლოდ, სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას /ცვლილებისას, შეხვედრის ოქმებში სამუშაო ჯგუფის წევრებს (დაინტერესებულ მხარეებს) სახელისა და გვარის გარდა მიეთითოს პოზიცია/სტატუსი, მათი იდენტიფიცირებისა და ჩართულობის დასადასტურებლად</u>***.

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ამასთან მისია, ხედვა და ღირებულებები შეტანილია დაწესებულების კატალოგშიც.

შესაბამისად, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია;
3. სატრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზნით კომისიის მუშაობის სხდომის ოქმი N1 (13.12.2019);
4. დაწესებულების კატალოგი;
5. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
6. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას,

კერძოდ: დაწესებულებას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია (02.02.2022, N17 ბრძანება). დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები. კერძოდ, გეგმის შემუშავების პროცესი, სტრუქტურა, გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები და პერიოდულობა, მონიტორინგის პროცესის განხორციელება, მონიტორინგის პროცესზე რეაგირება, სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის პროცედურა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მეთოდები. მარეგულირებლის თანახმად, კოლეჯის სტრატეგიული გეგმა მოიცავს: კოლეჯის შესახებ ინფორმაციას, მისიას, ხედვას და ღირებულებებს, გარემოს ანალიზს, SWOT ანალიზს, სტრატეგიულ მიზნებს, პრიორიტეტებსა და ამოცანებს, მონიტორინგსა და შეფასებას. სტრატეგიული გეგმა დგება შვიდი წლით, მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ სამოქმედო გეგმის შესრულების საფუძველზე.

დაწესებულების სტრატეგიული გეგმა (დამტკიცებულია 29.04.2020 წლის N9 ბრძანებით) ცვლილება შესულია დირექტორის 25.02.2022 წლის N58 ბრძანებით. სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანების დანართი არის შეცდომაში შემყვანი, რადგან ბრძანების რეკვიზიტები არ იძლევა ინფორმაციას ცვლილების თაობაზე და დოკუმენტს წარმოადგენს, როგორც ახლად დამტკიცებულს.

ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზეა დამტკიცებული 2022 წლის სამოქმედო გეგმა (25.02.2022 , N57).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free
შესაბამისად, გეგმების შემუშავებისას/ცვლილებისას დაწესებულებამ იხელმძღვანელა დადგენილი რეგულაციის თანახმად. არსებული სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებულია ძველი მეთოდოლოგიის საფუძველზე. ინდიკატორის შესაბამისობის დასტურად, დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი სახის დოკუმენტები: სტრატეგიული განვითრების მონიტორინგის ჯგუფის უფლება-მოვალეობები (05.03.2019, N 71 ბრძანება), მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ, სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზნით კომისიის სხდომის ოქმი N1 (13.12.2019) და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (10.03.2020, ოქმი N2) სსიპ კოლეჯის „იბერის“ 2019-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის განხილვა-შეთანხმების შესახებ, 2019 წლის კვლევები სუდენტებთან მასწავლებელებთან და ადმინისტრაციასთან.

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს,**

კერძოდ: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პერსონალთან ინტერვიუებით დგინდება შემდეგი - დაწესებულებას გააზრებული აქვს, რომ სტრარეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს. შესაბამისად, პსდ-ს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფას.

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს,**

კერძოდ: დაწესებულების სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას - მისაღწევ მიზნებს, მიზნის მიღწევის გზებსა და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურებს, ჩართულ მხარეებს, რესურსებსა და ინდიკატორებს. სტრატეგიული გეგმის მიზნები, ამოცანები, ვადები და შესრულების ინდიკატორები თავსებადია კოლეჯის მისიასთან. სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს, ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებსა და საჭირო რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სტრატეგიული გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია (2022 წლის);
2. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (2021 წლის);
3. სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის ჯგუფის უფლება-მოვალეობები;
4. სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის მიზნით კომისიის შეხვედრის ოქმი N1 (13.12.2019);
5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (10.03.2020, ოქმი N2) სსიპ კოლეჯის „იბერის“ 2019-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის განხილვა-შეთანხმების შესახებ.
6. 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
7. 2022 წლის სამოქმედო გეგმები;
8. სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები სტრატეგიული განვითარების გეგმის შესახებ (2019 წლის კვლევა).

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით,

კერძოდ: სტრატეგიული გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია არეგულირებს სატრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების საკითხებს. სტარტეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ყოველწლიურად სამოქმედო გეგმის შესრულების საფუძველზე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი/შეფასება ხორციელდება ასევე წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს. თუმცა, სასურველია, სამოქმედო გეგმის შესრულების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელოს საანგარიშო პერიოდში გონივრულ ვადაში და არ დაელოდოს წლის დასრულებას.

სასურველია, დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელოს საანგარიშო წლის განმავლობაში, გონივრულ ვადაში, ნაცვლად მარეგულირებელში მითითებული წლის ბოლოსა, რათა არსებობის შემთხვევაში დროულად გამოავლინოს შეუსაბამობები და უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტურობა.

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე,

კერძოდ: დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის თანახმად, დაწესებულება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს/შეფასებას ახორციელებს წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს. სამოქმედო გეგმის ანგარიში წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის საფუძველს. რეგულაციის თანახმად, დაწესებულება შეფასების ანგარიშის საფუძველზე შეიმუშავებს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმას. შეფასებაზე რეაგირების მიზნით, კოლეჯი განსაზღვრავს იმ საკითხებს, რაც ჯერ ისევ განხორციელების პროცესშია, რაც არ განხორციელებულა და რისი განხორციელებაც შეწყდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიმუშავებს მომავალ სამოქმედო გეგმას. 2022 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას დაწესებულებამ იხელმძღვანელა 2021 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშით.

სასურველია, დაწესებულების მიერ შესრულებული ანგარიში იყოს უფრო კომპლექსური ხასიათის, ვინაიდან, შეფასება ძირითადად მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას შესრულებულ და ვერ/არ შესრულებულ საკითხებზე. არ არის გაანალიზებული შესრულებული ამოცანების ხარისხი, ასევე შეუსრულებელი ნაწილის შეუსრულობლობის მიზეზები - საჭიროა თუ არა იგივე ამოცანების მომავალი წლის გეგმაში გადატანა/კორექტირება, რაც დაეხმარება დაწესებულებას სამომავლო გეგმის უკეთ დაგეგმვასა და ეფექტიანობის გაზდაში.

2. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია

კერძოდ: დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სტრატეგიული გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია
2. 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
4. 2021 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში;
5. დაწესებულების ვებგვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა,

კერძოდ: დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (21.02.2022, N39 ბრძანება) განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის კანონით გათვალისწინებული შემდეგი უფლებების დაცვის საკითხს: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა, მიღებული განათლების აღიარება (მათ შორის ქვეყნის საზღვრებს გარეთ და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების წესი), პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, პროფესიული სტუდენტის შეფასება, კვალიფიკაციის მინიჭება, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირება, ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა. წესი ასევე არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (სამივე საფხურის პროგრამაზე) ჩარიცხვის პროცესის სრულ ციკლს - ეტაპებსა და პროცედურებს. ჩარიცხვის შემდგომ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას, ხელშეკრულების გაფორმების პრინციპებს (როგორც მოდულური, ისე დუალური სწავლების შემთხვევაში, ასევე არასრულწლოვანთან გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკას), სხვადასხვა ტიპის რესურსებით სარგებლობას, კარიერული მხარდაჭერასა და პროფესიული კონსულტაციების მიღებას, ინიციატივების წახალისებასა და სხვა.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშული წესი დაწესებულებას ახალი დამტკიცებული აქვს, სტუდენტთა კანონიერი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის დადასტურების მიზნით, ექსპერტა ჯგუფმა ინდიკატორის შესაბამისობა შეამოწმა დაწესებულების მიერ შემუშავებულია სსიპ კოლეჯის „იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (06.07.2020) საფუძველზე. დაწესებულებამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
წარმოადგინა სტუდენტის სტატუსი მინიჭების, სტატუსის შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შესაბამისი ბრძანებები).

აპლიკანტთა შერჩევისა და შეფასების მეთოდებისა და ეტაპების შესახებ (28.07.2021,N148 ბრძანება, დანართი N1), შესარჩევი კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესი (28.07.2021, N148 ბრძანება, დანართი N2), საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტისათვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები (28.07.2021, N148 ბრძანება, დანართი N3), 2021 წლის საშემოდგომო მიღებაზე შესარჩევი და სააპელაციო კომისიების შექმნის შესახებ (20.07.2021, ბრძანება N145), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტებთან მოტივაციური გასაუბრების ინტერვიუს ფორმები, შემოქმედებით ტურის პრაქტიკული დავალებები და შეფასების კრიტერიუმები (31.08.2021, N175 ბრძანება).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შერჩევითი პრინციპით, შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის არასრულწლოვან სტუდენტებთან. სტუდენტთა პირადი საქმეები შედგენილია დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად.

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს,**

კერძოდ: დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შინაგნაწესის (24.02.2022, N 54 ბრძანება, დანართი N2) მე-6 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის თანახმად, კოლეჯი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მათ უფლება-მოვალეობებთან დაკავშრებით კვალიფიციური კონსულტაცია გაუწიოს. სტუდენტთა კონსულტირების ფუნქცია ეკისრება სტუდენტური სერვისების კოორდინატორს. მარეგულირებლით გაწერილია სტუდენტის უფლება-მოვალეობები. სტუდენტებისათვის მათ უფლებების გაცნობის ვალდებულება ამავე დოკუმენტითაა განსაზღვრული. იმ უფლებათა ნაწილი, როგორიცაა შეფასების გასაჩივრება, სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება, მობილობა და ა.შ. პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. აღნიშნული მარეგულირებელები დაწესებულებას ახალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDFEraser Free
დამტკიცებული აქვს. ინდიკატორის შესაბამისობის დასადგენად, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა წინა პერიოდის მარეგულირებელი დოკუმენტები.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის მიღების სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შეხვედრის თემა იყო: სასწავლო პროცესის თავისებურების, ქცევის, ეთიკის ნორმების, უსაფრთხოების, ზოგადად არსებული შესაძლებლობების და უფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები. სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთათვის მათი უფლებების გაცნობას და სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს.

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით,**

კერძოდ: დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (ბრძანება #39, 21.02.2022 წელი) გაწერილია შეფასების, განმეორებითი შეფასებისა და შეფასების გასაჩივრებასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები. წესის თანახმად, მოდულზე სწავლის დაწყებისთანავე, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აცნობს მოდულის სწავლის შედეგების შეფასების პირობებს. შეფასების გასაჩივრების უფლება წარმოეშობა შეფასების გაცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რისთვისაც, განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს, რომელიც ქმნის სააპელაციო კომისიას (განსაზღვრულია კომისიის შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების ვადები). სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება წერილობითი ფორმით. სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი ინფორმირებული არიან შეფასების სისტემის შესახებ, თუმცა გასაჩივრების მექანიზმისთვის არ მიუმართავთ.

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კერძოდ: პროფესიული სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების თავისებურებები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/ შეზღუდულქმედუნარიანი აპლიკანტის შემთხვევაში, ხელშეკრულებას ხელს აწერს აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი. წესი ასევე არეგულირებს დუალური პროგრამის ფარგლებში, ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-20 მუხლის თანახმად გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად კოლეჯში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რაც მოიცავს შემდეგს: ა) პირადი (არასრულწლოვანის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის, მხარდამჭერის) განცხადება; ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არასრულწლოვნის/მხარდაჭერის მიმღების შემთვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი); გ) არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი; დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე სრული ზოგადი/საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო/სრული ზოგადი განათლების საფეხურის დაძლევის გარეშე; ე) 2 ფოტოსურათი 3x4-ზე; ვ) საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი (მინდობილობა); ზ) უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ დოკუმენტი; თ) სხვა დოკუმენტები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

პროფესიულ სტუდენტებთან და სტუდენტური სერვისების კოორდინატორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები ყოველი ექსტრაკურიკულური აქტივობისა და სხვა ღონისძიებების წინ წერილობით ნებას გამოხატავენ მათი კანონიერი ინტერესების დაცვის ნაწილში და თანხობას აცხადებენ მათი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების, მათ შორის ფოტოს კოლეჯის ვებგვერდზე/საჯაროდ განთავსებაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებები, მათ შორის არასრულწლოვანთან გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულებებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

5. **ასდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

კერძოდ: დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი და სასწავლო მასალის ადაპტირების მეთოდოლოგია (26.02.2021, N47 ბრძანება). სსსმ პროფესიული სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსმპ ასისტენტისა და კვალიფიციური მასწავლებლის მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცით ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდაჭერის (ტრანსპორტირება) და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

წესი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხს, რომელიც ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია/აკომოდაციას. ისგ-ის შემუშავების საჭიროებას შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სსმპ და საჭიროების შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი. ისგ-ის შემუშავება და განხორციელება ხდება პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით და მათ ინტერესების გათვალისწინებით.

სასწავლო რესურსის ადაპტაციისას დაწესებულება სასწავლო გარემოს, მასალის, სასწავლო გეგმის, შეფასების სისტემისა და რესურსების შექმნისას სტუდენტთა განსხვავებულ საჭიროებას ითვალისწინებს. მაგ, მცირედმხედველთათვის აუდიოჩანაწერის უზრუნველყოფას, სმენის სირთულის მქონე სტუდენტებისათვის ჟესტების ენის გამოყენებას, ტექსტის ლექსიკის გამარტივებას ტექსტის ფონტის გაზრდას და სხვა.. მარეგულირებელი ისგ-ის შექმნას ითვალისწინების პროფესიული სტუდენტის მობილობის ან სტატუსის აღდგენის შემთხვევაშიც. დაწესებულებას ამ ეტაზე ჰყავს ისგ-ის საჭიროების მქონე სტუდენტები. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა ისგ და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურების დამდასტურებელი მასალები (ექსპერტთა გუნდის დასკვნა, პროფესიული მოსინჯვის შედეგები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმის ნიმუში, სასწავლო პროცესზე დაკვირვების ნიმუში, შემაჯამებელი ოქმი, ადაპტირებული რესურსები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
შესაბამისად, დაწესებულებაში ისგ-ის შემუშავება და განხორციელება ხდება პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით და მათ ინტერესების გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (2022 წლის);
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (2020 წლის);
3. აპლიკანტთა შერჩევისა და შეფასების მეთოდები და ეტაპები;
4. შესარჩევი კომისიების ფორმირების, მათ მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესი;
5. 2021 წლის საშემოდგომო მიღებაზე შესარჩევი და სააპელაციო კომისიების შექმნის შესახებ დოკუმენტი;
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტებთან მოტივაციური გასაუბრების ინტერვიუს ფორმები, შემოქმედებით ტურის პრაქტიკული დავალებებისა და შეფასების კრიტერიუმები;
7. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შინაგანაწესი;
8. სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
9. სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
10. სტუდენტთა პირადი საქმეები;
11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი და სასწავლო მასალის ადაპტირების მეთოდოლოგია;
12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურების დამდასტურებელი მასალები (ექსპერტთა გუნდის დასკვნა, პროფესიული მოსინჯვის შედეგები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმის ნიმუში, სასწავლო პროცესზე დაკვირვების ნიმუში, შემაჯამებელი ოქმი, ადაპტირებული რესურსები;
13. ვებ გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი წესები;
14. ინტერვიუს შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად,

კერძოდ: დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (21.02.2022, N39 ბრძანება) თანახმად, პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებისთვის დაწესებულება მიმართავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სახეებს. პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროფესიული მოდულის განმახორციელებელი სისტემატურად უნდა მიმართავდეს განმავითარებელი შეფასების განხორციელებას. განმავითარებელი შეფასება აუცილებლად უნდა დასრულდეს ჯგუფისათვის/სტუდენტისთვის ზეპირი ან წერილობითი უკუკავშირის დასრულებით. გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიიღოს დამატებით კონსულტაცია აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. წესის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი კალენდარულ გეგმასთან ერთად შეიმუშავებს და წარადგენს სწავლის შედეგების შეფასებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციის ჩატარების გრაფიკს, გრაფიკი განთავსებული იქნება თვალსაჩინო ადგილას კონსულტაციის ჩამტარებელი მასწავლებლის, ჩატარების დროისა და აუდიტორიის მითითებით. სასწავლო სივრცეების დათვლიერებით დგინდება, რომ ინფორმაცია კონსულტაციის ჩატარების განრიგთან დაკავშირებით თალსაჩინოდაა განთავსებული. სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი საჭიროების შემთხვევაში იღებენ დამატებით კონსულტაციებსა და მხარდაჭერას, თუმცა არსებული გრაფიკების შესახებ საქმის კურსში არ იყვნენ.
ექსპერტთა ჯგუფის აზრით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მექანიზმები. ასევე, სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ უსარგებლიათ აღნიშნული მექანიზმებით.

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან,**

კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შინაგანაწესი (24.02.2022, N 53 ბრძანება, დანართი N2), რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯს შორის არსებულ ურთიერთობას. დოკუმენტში გაწერილია სტუდენტის/მსმენელისა და დაწესებულების უფლებები და ვალდებულებები. რეგულაციის თანახმად, დააწესებულება უზრუნველყოფს აღნიშნული შინაგანაწესის სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის ხელშეკრულების გაფორმებამდე გაცნობას. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესილ სტუდენტთა/მსმენელთა შინაგანაწესი ახალი დამტკიცებულია, აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასადგენად, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა წინარე პრაქტიკა. დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის პროფესიულ სტუდნთა მიღების ჯგუფებთან გაცნობით შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლიდანაც ირკვევა, რომ შეხვედრის დროს დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
წარმომადგენელმა სტუდენტებს გააცნო ისეთი საკითხები, როგორიცაა: სასწავლო პროცესის თავისებურება, ქცევისა და ეთიკის ნორმები, უსაფრთხოება, ზოგადად არსებული შესაძლებლობები და უფლებები, კანონიერი დაცვის მექანიზმები. სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო გარემოსთან მათ ადაპტაციას ხელს უწყობენ პროფესიული პროგრამის განაახორციელებლები, პირველადი შეხვედრისას მიწოდებული ინფორმაციის დახმარებით.

3. **პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას,**

კერძოდ: დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, პროფესიულ სტუდენტთა შინაგანწესითა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები. სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ იციან ვის უნდა მიმართონ, უსარგებლიათ ადმინისტრაციული მხარდაჭერით და დახმარება მიუღიათ გონივრულ ვადაში. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გადაამოწმა პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, დიპლომის გაცემისა და სხვა ადმინისტრაციულ წარმოებაზე მიმართვიანობის მტკიცებულებები. რითაც დასტურდება, რომ კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს გონივრულ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხადრაჭერას.

4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას,**

კერძოდ: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (21.02.2022, N39 ბრძანება) 43-ე მუხლის თანახმად, დაწესებულება ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომლებიც შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს. სტუდენტთათვის დამატებით არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და ინიციატივების მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია სტუდენტური სერვისების კოორდინატორი. ინიციატივების განხორციელების მიზნით, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს /სტუდენტს შეუძლია განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს. დირექტორის თანხმობის შემთხვევაში განისაზღვრება ფინანსური ან /და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მატერიალური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა. დაწესებულებაში ფუნქციონირებს „ახალგაზრდული კლუბი“ რომელშიც გაწევრიანებულია სტუდენთა უმეტესობა. სტუდენტები კლუბის ეგიდით ახორციელებენ სხვადასხვა ინიციატივებს, ასევე ჩართული არიან დამატებით არაფორმალურ აქტივობებში.

დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტური სერვისების კოორიდნატორის 2022 წლის სამოქმედო გეგმა, რომლშიც გაწერილია სხვადასხვა ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები. დაწესებულების სოციალური ქსელში განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებული დამატებითი/არაფორმალური აქტივობების შესახებ, რაც ასევე დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების დროს.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია (21.02.2022, N37 ბრძანება), რომელშიც განსაზღვრულია კვლევის მეთოდები, გამოკითხვის ფორმა, საკვლევი საკითხები, კვლევის ჩატარების პერიოდულობა (წელიწადში ერთხელ), კვლევის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი/ერთეული (ხარისხის მართვის მენეჯერი), შედეგების ანალიზი და ანგარიშგება, კვლევის შედეგების გავრცელება. ხარისხის მართვის მენეჯერი კვლევის შედეგებს იყენებს დაწესებულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმაში საგანმანათლებლო პროცესების ხარისის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა გამოკითხვა, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის იანვარ-თებერვალში განხორციელებული კვლევა, კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები. კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა კმაყოფილია შეთავაზებული სერვისებით. დაწესებულებამ მაინც შეიმუშავა მცირე განმავითარებელი ტიპის რეკომენდაციები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (2022 წლის);
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (2020 წლის);
3. დაგეგმილი საკონსულტაციო შეხვედრების გრაფიკები;
4. სტუდენტებთან ჩატარებული გაცნობითი შეხვედრის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
5. პროფესიულსტუდენტთა/მსმენელთა შინაგანაწესი;
6. სტუდენტური სერვისების კოორდინატორის 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
7. დაწესებულების სოციალური ქსელი.
8. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია;
9. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები.
10. ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმა 2022წ.
11. ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის,

კერძოდ: დაწესებულებაში არსებულ პროფესიულ სტუდენტთა და პოტენციურ პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭრის მომსახურებაზე პასუხისმგებელია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც კონსულტაციას უწევს აპლიკანტებს პროფესიათა თავისებურებების, დასაქმების შესაძლებლობებისა და კოლეჯში განსახორციელებელ პროგრამებთან დაკავშირებით, ატარებს პროფორიენტაციის ვიზიტებს საჯარო სკოლებში, კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს კარიერის დაგეგმვის, სამუშაო ადგილების მოძიების, პროფესიით დასაქმებისა და დამსაქმებლებთან ურთიერთობების საკითხებში. წარმოდგენილ, იქნა ასევე, პროფორიენტაციისა და კერიერული დაგეგმვის მენეჯერის 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში და 2022 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- პროფესიული ორიენტაცია, სტუდენტების მოზიდვა, კოლეჯის რეკლამირება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურების კონსულტაციები, კურსდამთავრებულთა კვლევა;
- ურთიერთბის გამყარება დამსაქმებლებთან და სოციალური პარტნიორებთან, შრომის ბაზრის კვლევა;
- სტუდენტთა (მათ შორის შშმპ და სსმპ) მხარდამჭერი ღონისძიებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შესაბამისად, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისათვის.

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

კერძოდ: პროფორიენტაციისა და კერიერის დაგეგმვის მენეჯერი, სტუდენტური სერვისების კოორდინატორთან კოორდინირებით და ფილიალის ადმინისტრატორის მხარდაჭერით, მათ შორის პროგრამების ხელმძღვანელებთან, მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ხორციელდება დასაქმების მსურველი სტუდენტების და კურსდამთავრებულების რეგისტრაცია და ინფორმირება კერძო და საჯარო ორგანიზაციების შესახებ, მუდმივი კომუნიკაცია სახელმწიფო და არასამთავრობო დაწესებულებებთან, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან. გასცემენ რეკომენდაციებს დასაქმების მსურველ პროფესიულ სტუდენტებზე მათი აკადემიური მიღწევების შესაბამისად. დაწესებულება აწარმოებს კურდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზებს, რომელსაც ყოველწლიურად ანახლებს. ინფორმაციას დასქმების შესაძლებლობებზე დაწესებულება ანთავსებს კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში, ასევე კოლეჯის შენობაში საინფორმაცო დაფაზე. შესაძლოა გამოყენებული იქნას სატელფონო კომუნიკაცია ან/და ელექტრონული მიმოწერა. დაწესებულების სოციალური გვერდის გამოწმებით დასტურდება, რომ დაწესებულება პერიოდულად უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებასა და განახლებას დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს დასაქმების შესახებ ინფორმაციის თვალსაჩინოდ და ყველასთვის მისაწვდომ ადგილზე განთავსებას.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

დაწესებულაბას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია (21.02.2022, N37 ბრძანება). რომელის ერთ-ერთი პუნქტი დასაქმების მაჩვენებლის დადგენას ეხება. დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
კვლევის შედეგები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ასევე დამსაქმებელთა კვლევის შედეგები, მათ შორის კმაყოფილების კუთხით. პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და დამსაქმებელთა ბაზებს. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით, პერიოდულად ახორციელებს ინფორმაციის მიწოდებას დამსაქმებლებისათვის. დაწესებულებამ წარმოადგნა 2019,2020, 2021, 2022 წლების დასაქმების მაჩვენებლი ბაზები, დასაქმების სტატისტიკა (სტატისტიკაში განსაზღვრულია პროფესიით დასაქმების მაჩვენებელიც).

შესაბამისად, პსდ პერიდულად ატარებს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულის დასაქმებასთან დაკავშირებულ კვლევებს.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს,

კერძოდ: დაწესებულება აწარმოებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევას კარიერული მომსახურების კუთხით, კვლევის შედეგების დოკუმენტი არ მოიცავს სარეკომენდაციო ნაწილს, რადგან სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ კარიერული მომსახურების კუთხით გაწეული მომსახურების თაობაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

1. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია;
2. კურსდამთავრებულთა ბაზები (2019, 2020, 2021 , 2022 წწ);
3. დამსაქმებელთა ბაზები;
4. პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში;
5. პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერის 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
6. კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
7. დაწესეულების ვებგვერდი და სოციალური ქსელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

8. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგი;
9. ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არაა განსაზღვრული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კერძოდ: დაწესებულების წესდების თანახმად (დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N129/ნ ბრძანებით, 19.07.2019), კოლეჯის მართვის ორგანოებია კოლეჯის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. კოლეჯის დირექტორის 29.06.2016 წლის N 142 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „იბერია“ თანამდებობრივი ინსტრუქცია. დაწესებულების სტურქტურა და თანამდებობრივი ინსტრუქციები არ ასახავს სრულად დაწესებულებაში დასაქმებულებს, მაგ. სტრუქტურაში არ არის მითითებული სტრუქტურული ერთეულები - სამსახურები. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით დაწესებულებას აქვს სამსახური, ფაქტობრივად, კი დაწესებულებას ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და სპეციალისტი, ზოგიერთ დოკუმენტში - ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმაში, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში - ნახსენებია ხარისხის სამსახური. ამასთანავე, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის, სტუდენტური სერვისების კოორდინატორის ფუნქციები არ არის გაწერილი, ამავე დროს არსებული პირები/სტრუქტურების ფუნქციები არ არის გამიჯნული სამუშაო აღწერილობებისგან.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულების სტრუქტურის და თანამდებობრივი ინსტრუქციების განახლების პროცესი მიმდინარეობს, თუმცა, დაწესებულებას აღნიშნულ საკითხზე არ წარმოუდგენია შესაბამისობის გეგმა.

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულებას კოლეჯის „იბერია“ თანამდებობრივ ინსტრუქციაში გაწარილი არ აქვს დაწესებულებაში რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების (მაგ.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, სტუდენტური სერვისების კოორდინატორი და სხვ.) ფუნქციები, ამავე დროს არსებული პირები/სტრუქტურების ფუნქციები არ არის გამიჯნული სამუშაო აღწერილობებისგან.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას,**

კერძოდ: დაწესებულების მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ კოლეჯის ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ვერ უზრუნველყოფს პსდ-ს ძირითადი საქმინობის განხორციელებას, რაც დასტურდება დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში პასუხისმგებელ პირთა შორის ფუნქციების გადანაწილებით. მაგ. დაწესებულების სამოქმედო გეგმაში ჩართულ მხარედ მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომლის ფუნქციები და პასუხისმგებლობები დაწესებულებას გაწერილი არ აქვს.

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან სტუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხიმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას (მაგ. დაწესებულების სამოქმედო გეგმაში ჩართულ მხარედ მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომლის ფუნქციები და პასუხისმგებლობები დაწესებულებას გაწერილი არ აქვს)

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

3. **პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განაწილების საკითხი მკაფიოდ არაა განსაზღვრული ხარისხის მართვის სპეციალისტთან მიმართებაში და შესაბამისად ვერ დასტურდება ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობა,**

კერძოდ: დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებას ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი: ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუქნციები განისაზღვრება კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქციით, ხოლო იმავე დოკუმენტით ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის თანამდებობრივი ინსტრუქცია გაწერილი არ არის. შესაბამისად, ექსპერტთა მხრიდან სათანადოდ ვერ იქნა შესწავლილი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის მიზნით.

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორი პირიდან (ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი) ერთ-ერთის - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქციები და მოვალეობები არ არის გაწერილი და შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გადამოწმება შეუძლებელია.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. წესდება;
2. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
3. დაწესებულების სტრუქტურა;
4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
5. ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმა 2022 წელი;
6. ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
7. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
8. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად

კერძოდ: დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კოლეჯის შრომის შინაგანაწესითა (24.02.2022, N 53 ბრძანება, დანართი N3) და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით (24.02.2022, N53 ბრძანება, დანართი N1). დოკუმენტებში გაწერილია ისეთი საკითხები, როგორიცაა, პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დასაქმების შენარჩუნება, შეფასება, პროფესიული განვითარება, მოტივირება და წახალისება, ახალი თანამშრომლის ადაპტირება სამუშაო გარემოსთან, დისციპლინური პასუხისმგებლობა.

პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია დაწესებულების შრომის შინაგანაწესის დოკუმენტთან, დაწესებულების თანამშრომლები იცნობენ პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, რაც დასტურდება შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, პერსონალის ეფექტური მართვისთვის კოლეჯს უნდა ქონდეს სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეული, თითოეული პერსონალის მიმართ დადგენილი სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს, თუმცა, სამოქმედო 2022 წლის გეგმა ითვალისწინებს დაწესებულების სტრუქტურულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ოპტიმიზაციას, ადამიანური რესურსების მართვის განახლებულ პოლიტიკასა და პროცედურებს. ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე დაწესებულებას არ წარმოუდგენია შესაბამისობის გეგმა, ამიტომ ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. კერძოდ, პერსონალის მართვის პროცესი (პერსონალის მოზიდვა) ვერ განხორციელდება კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და დადგენილი წესის შესაბამისად, რადგან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, პერსონალის ეფექტური მართვისთვის ითვალისწინებს თითოეული პერსონალის მიმართ დადგენილი სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ქონას, აღნიშნული აღწერილობები და მოთხოვნები დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით**

კერძოდ: პერსონალის მოზიდვასთან დაკავშირებული საკითხები დაწესებულებას დეტალურად აქვს გაწერილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა (24.02.2022 , N 53 ბრძანება, დანართი N1) და კონკურსის ჩატარების წესის (24.02.2022, N 53 ბრძანება, დანართი N2)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დოკუმენტებში. პერსონალის შერჩევის პროცედურა ითვალისწინებს როგორც ვაკანსიის შიდა კადრებიდან შევსებას, ისე კონკურსის გზით მოზიდვას. მარგულირებელში გაწერილია პერსონალის შერჩევის ყველა ეტაპი, საკონკურსო განაცხადის მომზადებიდან კონკურსის ჩატარებისა და კონკურსის გასაჩივრების საკითხების ჩათვლით. ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის განსათავსებლად დაწესებულება გამოიყენებს შემდეგ საშუალებებს HR.GOV.GE, HR.GE და JOBS.GE.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალის შერჩევის პროცედურული ნაწილი სრულად ასახავს კადრების მოზიდვის პროცესს, გამომდინარე იქიდან, რომ **დაწესებულებას არა აქვს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები,** პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის მენეჯრთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას ახალი რეგულაციით პერსონალი ჯერ არ შეურჩევია (გასულ წელს კოლეჯმა დაასაქმა მხოლოდ ორი ადამიანი, ერთი დროებით მოვალეობის შემსრულებლად, მეორე - სტუდენტური სერვისების კოორდინატორი შტატგარეშე თანამშრომლად, რა დროსაც სტანდარტული პროცედურებისათვის არ მიუმართავს). არსებული პერსონალის პირადი საქმების შესწავლით დგინდება, რომ თანამშრომლებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, რომელიც აკმაყოფილებს შრომის კოდექსის ყველა არსებით პუნქტს. პერსონალის პირადი საქმეები შედგენილია დაწესებულების რეგულაციის გათვალისწინებით.

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალის შერჩევის პროცედურული ნაწილი სრულად ასახავს კადრების მოზიდვის პროცესს, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არა აქვს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ინდიკატორი შეფასდა <u>როგორც მეტწილი,</u> ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - ინდიკატორი შეუსაბამოა, ვინაიდან

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **დაწესებულების თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ვერ ხერხდება.**

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულებას არ აქვს გაწერილი თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

<u>დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე შეიმუშავებს კოლეჯის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირები/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

კერძოდ: პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები:

- სსიპ კოლეჯის „იბერია“ სრული ავტორიზაციის პროცესის მომზადების მიზნით საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (16.12.2021, N277);
- ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით თვითშეფასების ჯგუფის დამტკიცებისა და კომპეტენციების გადანაწილების შესახებ ბრძანება (03.02.2022, ბრძანება N18);
- სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ ინფორმაცია (მაგ, ვერიფკაციის ჯგუფი და სხვ.);

ზემოაღნიშნულის გარდა, სატრატეგიული და სამოქმედო გეგმების პასუხისმგებელი და ჩართული პირების შესახებ ინფორმაცია მომწმობს, რომ პერსონალის მართვა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდურ და თანამონაწილეობით პრინციპებს.

მიუხედავად იმისა, რომ გასაუბრების დროს დაწებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს, უზიარებენ ერთმანეთს საქმიანობისას წარმოშობილ გამოწვევებს, 2022 წლის იანვარში ჩატარებული კვლევით მაინც ადასტურებენ, რომ სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს ღონისძიებები ორგანიზაციულ კულტურაში გუნდურობისა და თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპების ამაღლებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

პერსონალის მართვის პოლიტიკა დაფუძნებულია თანასწორობის, სამართლიანობის, გამჭვირვალეობისა და წახალისების პრინციპებზე. პოლიტიკის მიზანია თანამშრომლებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ პროდუქტიულობას და მაღალი შედეგების მიღწევას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
2. შრომის შინაგანაწესი;
3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
4. კონკურსის ჩატარების წესი;
5. თანამშრომელთა პირადი საქმეები;
6. შრომით ხელშეკრულებები;
7. სსიპ კოლეჯის „იბერია“ სრული ავტორიზაციის პროცესის მომზადების მიზნით საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (16.12.2021, N277);
8. ავტორიზაციის სტატუსი მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით თვითშეფასების ჯგუფის დამტკიცებისა და კომპეტენციების გადანაწილების შესახებ ბრძანება (03.02.2022, ბრძანება N18);
9. პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
10. ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☐ **შეესაბამება**

☒ **მეტწილად შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

კერძოდ: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-17 - მე-19 მუხლები არეგულირებს კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული პროგრამების მასწავლებელების/პროფესიული მომზადება/გადამზადების მასწავლებლების შეფასებისა და განვითარების საჭიროებათა კვლევის საკითხებს. შეფასებასთან დაკავშირებული დეტალური ინსტრუქციები გაწერილია თანამშრომელთა საქმიანობის შეაფსების ინსტრუქციის დოკუმენტში (24.02.2022, N53 ბრძანება, დანართი N3).
დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, შეფასების პერიოდულობა (წელიწადში ორჯერ, 6 თვიანი შუალედით), შეფასების ფორმა და მეთოდოლოგია, შეფასების სტრუქტურა, შეფასების გასაჩივრების მექანიზმი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ფორმა და შეფასების კრიტერიუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დაწესებულების 2022 წლის სამოქმედო გეგმაში III - IV კვარტალში იგეგმება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით საჭიროებათა შესწავლა და გამოვლენილი საჭიროების მიხედვით სამუშაო გეგმის შემუშავება.

ამასთანავე, დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის პერსონალის სწავლების წლიური გეგმა, სადაც გაწერილია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების შესახებ ინფორმაცია.

<u>რაც შეეხება პერსონალის საქმიანობის შეფასებას, კოლეჯს აღნიშნული პროცედურა ჯერ არ ჩაუტარებია და არც დაწესებულების 2022 წლის სამოქმედო გეგმაშია გაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის საქმიანობის შეფასების ინსტრუქციის დოკუმენტი 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდეა შემუშავებული. ამიტომ დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას.</u>

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას.

<u>დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე დაწესებულება ცვლილებას განახორციელებს სამოქმედო გეგმაში და უზრუნველყოფს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას, „თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქციის“ შესაბამისად.</u>

ინდიკატორი შეფასდა <u>როგორც მეტწილი,</u> ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კერძოდ: დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის პერსონალის სწავლების გეგმა. გეგმაში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის განკუთვნილი ტრენინგები; ტრენინგების განხორციელების პერიოდი; ტრენინგში ჩართული პირების რაოდენობა; ტრენინგისათის საჭირო ფინანსური რესურსი. კოლეჯმა 2022 წლის იანვარ-თებერვალში განახორციელა პერსონალის კომპლექსური გამოკითხვა, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს მათი საჭიროების გამოვლენა წარმოადგენდა. კოლეჯის 2022 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია პერსონალის საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც შემუშავდება პერსონალის განვითარების შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2023 წლისთვის.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლი განსაზღვრავს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებს. რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

- პროფესიული განვითარების ტრენინგები;
- სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობა;
- ფინანსური რესურსების გამოყოფა სხვადასხვა ტრენინგებსა და კონფერენციებზე მონაწილეობისათის;
- პროფესიული მასწავლებლის კარიერული განვითარების ხელშეწყობა კნონმდებლობით დადგენილი წესით.

ამასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა იფორმაცია სხვადასხვა დროს განხორციელბული ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი საქმიანობის შესახებ.

2018 წელს 23 მასწავლებელმა გაიარა მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგი შემდეგ თემებზე:

- სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში;
- პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

- სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები;
- კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში;
- პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა პროფესიული განვითარება;

დაწესებულებამ ასევე უზრუნველყო კვლიფიკაციის ასამაღლებელი სტაჟირების პროგრამების განხორციელება პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეწყობით. (სხვადასხვა წლებში კოლეჯის მასწავლებლემა სტაჟერება გაიარეს ესტონეთის ქალაქ რაკვერეს პროფესიულ სკოლაში, პოლონეთის ქალაქ პოზნანის პროფესიულ ტექნიკურ სკოლებში).

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

კერძოდ: კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხს არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. დოკუმენტის მე-13 მუხლის თანახმად, უზრუნველყოფილია ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის/ადაპტაციის მექანიზმები. ადაპტაციის მიზანია ხელი შეუწყოს ახლად დანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, დაწესებულების მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების და მოქმედი პოლიტიკის, პროცედურებისა და რეგულაციების შესახებ ცნობიერების გაზრდას. კოლეჯის საქმისმწარმოებელი და ადამიანური რესურსების მენეჯერი უზრუნველყოფენ ახალი თანამშრომლის ადაპტაციას, წარდგინებას კოლეჯის დირექტორისა და სხვა თანამშრომლების წინაშე, რისთვისაც ახალ თანამშრომელს ხვდებიან სამუშაო ადგილზე და აცნობენ მას ხელმძღვანელსა და კოლეგებს, პოზიციიდან გამომდინარე გადასცემენ შესაბამის დოკუმენტაციას - თანამდებობრივ ინსტრუქციასა და შინაგანაწესს, აცნობენ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტით კოლეჯის მმართველი რგოლი და არსებული პერსონალი ვალდებულია ხელი შეუწყოს ახალ თანამშრომელს შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნაში.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

კერძოდ: კოლეჯის თანამშრომლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას. თანამშრომელთა ინიციატივების გამოვლენისა და განხორციელების საკითხებს ადამიანური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free
რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიც ითვალისწინებს. თუმცა, არ არის პროცედურულად გაწერილი ინიციატივების წარდგენის მექანიზმი: ინიციატივის არსებობის შემთხვევაში ვის და რა ფორმით მიმართავს ინიციატორი, რა ვადებში ხორციელდება ინიციატივის განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და ინიციატორის ინფორმირება.

სასურველია, დაწესებულებამ დეტალურად გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წარდგენისა და განხორციელების პროცედურა.

დაწესებულების შრომის შინაგანაწესის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების ფორმები:

- მადლობის გამოცხადება წერილობით ფორმით;
- საჯარო აღიარების ფორმით საუკეთესო თანამშრომლად დასახელება;
- სამახსოვრო საჩუქარი;
- ფულადი ჯილდო/პრემია;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა;
- დამატებითი საშვებულებო დღეებით სარგებლობის უფლების მინიჭება
- პროფესიული განვითარების დაფინანსება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

2. თანამშრომელთა საქმიანობის შეაფსების ინსტრუქცია;

3. 2022 წლის სამოქმედო გეგმა;

4. დირექტორის ბრძანებით (15.07.2021 წლის N142 ბრძანება) დამტკიცებული პერსონალის სწავლების წლიური გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

5. ინფორმაცია განხორციელებული ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი საქმიანობის შესახებ;
6. შრომის შინაგანაწესი;
7. ინტერვიუს შედეგი;

შეფასება:

- ☐ **შეესაბამება**
- ☒ **მეტწილად შეესაბამება**
- ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
- ☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDFEraser Free

5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDFmasr Free

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით**

კერძოდ: კოლეჯი „ იბერია“ ქ. ქუთაისში ორ მისამართზე ახორციელებს საქმიანობას. (ზ. ანჯაფარიძის ქუჩა N61 და ნიეკას ქუჩა N 15) საჯარო რეესტრიის ამონაწერით დგინდება, რომ ორივე შენობა სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს დაწესებულებას.

ზ. ანჯაფარიძის ქუჩა N61 მდებარე დაწესებულების ძირითადი შენობა (საერთო ფართით 2059.62კვ.მ) განთავსებულია ორ სართულზე. შენობა მოიცავს:

- ფოიეს,
- თეორიული სწავლების აუდიტორიებს (A გარემო),
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებს (B გარემო),
- დარგობრივი სპეციფიკის კაბინეტებს (C გარემო) (შენობის ორივე სართულზე, ასევე ცალკე მდგომ სასწავლო სახელოსნოებს - შედუღებისა (203.62კვ.მ) და ხის მხატვრული დამუშავების პროგრამებისათვის 304.69კვ.მ),
- სამუშაო სივრცეს ადმინისტრაციული პერსონალისათვის,
- სამუშაო სივრცეს პროგრამების განმახორციელებელი პირებისათვის (შესაბამისი რაოდენობის ინდივიდუალური განთავსების შესაძლებლობით, კომპიუტერებით, პრინტერებით, ინტერნეტითა და სხვა საჭირო აღჭურვილობით),
- სამუშაო/დასასვენებელ სივრცეს სტუდენტებისათვის, ასევე სივრცეს სტუდენტთა სპორტული ან შემოქმედებით საქმიანობისათვის (სპორტულ დარბაზს, სამაგიდო თამაშების სივრცეს, ახალგაზრდულ სივრცეს),
- ბიბლიოთეკას (წიგნსაცავითა და სამკითხველო განყოფილებით),
- მედდის/ექთნის კაბინეტი,
- ცალკე სივრცეს არქივისათვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

- სანიტარულ კვანძებს (შენობის ორივე სართულზე განთავსებულია სამ-სამი სანიტარული კვანძი, მათ შორის თითო ადაპტირებულია, სანიტარული კვანძი მდებარეობს შენობის ეზოშიც, ცალკე მდგომი შენობის სახით)

დაწესებულებას ასევე გააჩნია იზოლირებული დამხმარე ნაგებობა და შენობები საქვაბე სისტემისათვის).

ქ. ქუთაისში ნიკეას ქ. N15 მდებარე შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი 2268.73 კვ.მ) მოიცავს:

- ფოიეს,
- თეორიული სწავლების აუდიტორიებს (A გარემო),
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიას (B გარემო)
- დარგობრივი სპეციფიკის კაბინეტებს (C გარემო),
- სამუშაო სივრცე ადმინისტრაციული პერსონალისათვის,
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის,
- სამუშაო/დასასვენებელი სივრცე სტუდენტებისათვის, ასევე სივრცე სპორტულ/შემოქმედებით აქტივობისათვის - სამაგიდო თამაშების სივრცე, საბილიარდო სივრცე შეკრებებისთვის
- სანიტარული კვანძები (მათ შორის ორი ადაპტირებული,
- მედდის/ექთნის კაბინეტი,
- სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი,
- პანსიონი (სასტუმრო),
- ცალკე შენობა საქვაბე სისტემისათვის.

<u>შენიშვნა: აღნიშნულ მისამართზე არ არის ბიბლიოთეკის სივრცე, თუმცა დაწესებულებას აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა. ყველა საჭირო რესურსი მისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდიდან, ასევე ჩატვირთულია კომპიუტერებში.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
კოლეჯმა წარმოადგინა ინვენტარიზაციის აქტები, რომლითაც დასტურდება, რომ დაწესებულების მფლობელობაში გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი. *შესაბამისად, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.*

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 18.02.2022 წლის N 27 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსის განკარგვის წესი, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, კოლეჯის ლაბორატორიითა და სასწავლო სახელოსნოებით, ლექციებს შორის შესვენების პერიოდში ისარგებლოს ფოიეთი, სველი წერტილებით, კოლეჯის ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცეებით, ხოლო სპორტული მიზნების განხორციელებისათვის სპორტული დარბაზით. ამასთან, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის საერთო საცხოვრებლით (დადგენილი წესის შესაბამისად). პსდ-ს შენობა ნაგებობები ადაპტირებულია (ორივე მისამართზე ზ. ანჯაფარიძის ქ. N61 და ნიკეას ქ. N15), შესაბამისად, ყველა სტუდენტს აქვს თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ რესურსით.

კოლეჯის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 18.02.2022 წლის N 32 ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო ადგილების/სივრცეების და სანიტარული წერტილების დასუფთავების წესი, რომლის თანახმადაც, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვა ევალება დამლაგებელს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესაბამისობის კონტროლი კი მედდას, რაც გაწერილია როგორც ზემოაღნიშნულ წესში, ასევე მედდისა და დამლაგებლის ხელშეკრულებებსა და სამუშაო ფუნქციებში.

მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული დასუფთავებისა და დეზინფექციის პერიოდულობა. დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ადგილების/სივრცეების და სანიტარული წერტილების დასუფთავების აღრიცხვისა და პერიოდული დეზინფექციის ჩატარების შემოწმების ჟურნალები. (ორივე მისამართისთვის - ზ. ანჯაფარიძის ქ. N61 და ნიკეას ქ. N15), რომლითაც დასტურდება, რომ მედდა მუდმივად ახორციელებს დაწესებულებაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლს. აღნიშნული დასტურდება სივრცეების ვიზუალური დათვალიერებითაც. შესაბამისად, დაწესებულების ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

კერძოდ: დაწესებულების შენობა ნაგებობები (ორივე მისამართისთვის - ზ. ანჯაფარიძის ქ. N61 და ნიკეას ქ. N15), უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. აღნიშნულის დასტურად, კოლეჯმა წარმოადგინა გათბობის ხარჯების გადახდის დამდასტურებელი დოკუმენტაცია.

5. დაწესებულებაში <u>არ მოქმედებს</u> კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები

კერძოდ: შრომის უსაფრთოხოების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი დოკუმენტები (02-07-2019 წლის N238 ბრძანანება): სსიპ კოლეჯი „იბერიას“ პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების სფეროში, შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები დასაქმებულთათვის. დოკუმენტებში გაწერილია შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით საჭირო მექანიზმები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free
პროცედურები, კოლეჯისა და დასაქმებულთა ვალდებულებები უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები.

პსდ-მ წარმოადგინა ჟურნალი შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის თაობაზე სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის (დოკუმენტით დგინდება, რომ დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვრული ინსტრუქტაჟები ჩატარა როგორც სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებლებისათვის, ასევე დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალისთვისაც. ინსტრუქტაჟი ჩატარებულია 2019 და 2022 წლებში).

დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, სერტიფიცირებული ერთი პირი. აღნიშნული პირთან გაფორმებულ ხელშკერულებაში სამუშაო ადგილად მითითებულია მხოლოდ ქ.ქუთაისი ზ. ანჯაფარიძის ქუჩა N61, შესაბამისად, დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ნიკეას ქ. N15 მდებარე შენობა-ნაგებობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ***<u>დაწესებულებაში არ მოქმედებს</u>*** კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულას არ ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ქ.უთაისი, ნიკეას ქ.15 მისამართზე არსებულ ფართში.

<u>დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე გაუფორმებს ხელშეკრულებას კანონმდებლობის შესაბამისად, სერტიფიცირებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს კოლეჯის ქ.ქუთაისის ორივე ლოკაციაზე (ზ.ანჯაფარიძის ქ. #61 და ნიკეას ქ.#15)</u>

ინდიკატორი შეფასდა <u>როგორც მეტწილი,</u> ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები**

კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვის და სახარჯი მასალების მომარაგების/აღრიცხვა/გაცემის და უტილიზაციის წესი (18.02.2022, N33 ბრძანება). დოკუმენტში გაწერილია სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შეძენის/შენახვისა და გამოყენების მექანიზმები და პროცედურები. ასევე განსაზღვრულია მასალა-ნედლეულით შეუფერხებლად უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მასალის მოთხოვნის, მიღება-ჩაბარების და გამოუყენებლი მასალის უკან დაბრუნების ფორმები. წესი არეგულირებს სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვის პროცედურებს - განსაზღვრავს პროდუქტის შენახვის ვადებს (3 წელი) და პასუხისმგებელ პირებს. ასევე, ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების მართვის საკითხს.

მტკიცებულების სახით დაწესებულებამ წარმოადგინა საჭირო მასალა-ნედლეულის მოთხოვნის, მიღება-ჩაბარების აქტები. მოდულების განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას**

კერძოდ: დაწესებულების რესურსების რეგულარი შეფასებისა და გნავითრაების მიზნით, დაწესებულებას გაწერილი აქვს პროცედურები და მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს (18.02.2022, N36) მე-9 მუხლი ითვალისწინებს მატერიალურ-ტენიკური რესურსების მონიტორინგს - კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების არსებობას, მდგომარეობას და მათ შესაბამისობას პროგრამის სპეციფიკასთან მატერიალური რესურსების განკარგვის წესის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (18.02.2022, N34 ბრძანება) ითვალისწინებს რესურსების მონიტორინგსა და შეფასებას, რისთვისაც იყენებს კვლევის მეთოდს, შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით. ამასთან, დაწესებულებას 2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
წლის ხარისხის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის კონტროლი.

მატერიალური რესურსების განკარგვის წესის (18.02.2022, N27 ბრძანება) მე-4 მუხლში გაწერილია პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. განსაზღვრულია შეფასების და განვითრების გეგმის შემუშავების ვადები და ფორმა, შეფასების განმახორციელებელი პირები.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა რესურსების შეფასების შევსებული ფორმა, ასევე სტუდენტთა და თანამშროელთა კითხვარი, რომლის ერთ-ერთი პუნქტი მატერიალურ-ტექნიკური და სხვა სახის რესურსების ადეკვატურობის შეფასებას ეხება. შესაბამისად, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაშის მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;**

კერძოდ: პსდ-ს შენობა-ნაგებობებში (ორივე მისამართზე - ზ. ანჯაფარიძის ქ. N61 და ნიკეას ქ. N15) გამიჯნულია სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვინტილაცია. კვანძები აღჭურვილია ჰიგიენის დაცვისათვის საჭირო ყველა საშუალებით. ანჯაფარიძის ქ. N61 მდებარე ნაგებობაში სანიტარული კვანძები განთავსებულია შენობის ორივე სართულზე, სამ-სამი სანიტარული კვანძი - მამაკაცებისა და ქალებისათვის, ერთიც ადაპტირებული. მეორე სართულზე არსებული სივრცეები ხელმისაწვდომია სპეციალური ადაპტირებული ლიფტის საშუალებით. ნიკეას ქ. N15 მდებარე შენობაში სანიტარული კვანძები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. შესაბამისად, პსდ-ს სანიტარული კვანძები და ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობები ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**

კერძოდ: კოლეჯის შენობა-ნაგებობის (ორივე მისამართზე - ზ. ანჯაფარიძის ქ. N61 და ნიკეას ქ. N15) დათვალიერებით დგინდება, რომ დაწესებულების ყველა სასწავლო ფართსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება.

10. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას დაწესებულებაში**

კერძოდ: დაწესებულების შენობა-ნაგებობებში (ორივე მისამართზე - ზ. ანჯაფარიძის ქ. N61 და ნიკეას ქ. N15) სათავსოები და სივრცეები იმგვარადაა განლაგებული, რომ ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ყველა სასწავლო აუდიტორია, ადმინისტრაციული პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამების განამხორციელებელი პირების სამუშაო სივრცეები, სტუდენტთა დასასვენებელი და სამუშაო სივრცეები იზოლირებულია, ყველა აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი, არ არის ერთმანეთში გამავალი სივრცეები. შესაბამისად, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (18.02.2022 , N26 ბრძანება), რომელიც გამოკრულია თვალსაჩინოდ *(შენიშვნა: ნიკეას ქ. N15 მდებარე სასწავლო ფართში ბიბლიოთეკა არ არის, თუმცა ყველა პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკა, როგორც დაწესებულების ვებგვერდიდან, ასევე კომპიუტერებში ჩატვირთული რესურსის სახით)* . ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითად გადამოწმდა ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფონდი (დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისწავდომია ელექტრონული სახით). წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის თანახმად. ელექტრონული ფონდი ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სამუალებით. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი, რომელშიც თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. საბიბლიოთეკო სივრცე აღჭურვილია სამუშაო ადგილებით, ასევე ორი კომპიუტერითა და პრინტერით. გადამოწმდა სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის სტატისტიკაც. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების სტუდენტების და თანამშრომლებისათვისაც ხელმისწავდომია ელექტრონული რესურსი, ძირითადად, ხდება მისი გამოყენება. შესაბამისად, მომხამრებელებისათვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. აზომვით ნახაზები;
3. საინვენტარო აღწერილობა 01.01.2022 მდგომარეობით;
4. სამუშაო ადგილების/სივრცის და სანიტარული წერტილების დასუფთავების წესი;
5. შრომითი ხელშეკრულებები (მედდა, დამლაგებელი);
6. სამუშაო ადგილების/სივრცეების და სანიტარული წერტილების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალი;
7. პერიოდული დეზინფექციის ჩატარების შემოწმების ჟურნალი;
8. სსიპ კოლეჯი „იბერიას“ პოლიტიკა შრომის უსაფრთოების სფეროში;
9. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
10. შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები დასაქმებულთათვის;
11. ჟურნალი შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის თაობაზე (სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის);.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

12. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვის და სახარჯი მასალების მომარაგების/აღრიცხვა/გაცემის და უტილიზაციის წესი;
13. მასალა-ნედლეული მოთხვნისა და მიება-ჩაბარების დამდასტურებელი აქტები;
14. მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
15. ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
16. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
17. ხარისხსი სამოქმედო გეგმა 2022;
18. პროფესიულ სტუდენტთა და თანამშომელთა კითხვარები;
19. ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
20. დაწესებულების ვებგვერდი;
21. დათვალიერების შედეგი;
22. ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში მეტწილად დაცულია უსაფრთხოების ზომები;

კერძოდ: დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ზ. ანჯაფარიძის ქ. N61 და ნიკეას ქ. N15 მდებარე შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ. ასევე, კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების (ზ. ანჯაფარიძის ქ. N 61) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. დაწესებულების ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, შესაბამისი მანიშნებლები, მითითებულია საჭიროების შემთხვევაში საკონტაქტო ნომერი, ცეცხლმაქრები განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოების დასკვნაში მოთხოვნილი სტანდარტების შესაბამისად. ნიკეას ქ. N 15 მდებარე შენობა ნაგებობებთან დაკავშირებით გაცემული იქნა მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების დარღვევების აღმოფხვრის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშრებით დაწესებულებამ წარმოადგინა გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრის დამდასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ცეცხლმაქრების ტექნიკურად გამართვის შესახებ და სხვ.)

რაც შეეხება საევაკუაციო კიბის მონტაჟს, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საევაკუაციო კიბის მონტაჟის დასრულებას 01.09.2022წ. (სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება საევაკუაციო კიბის მონტაჟის შესახებ 25.01.2022, N17).

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ საევაკუაციო კიბის მონტაჟი დაასრულოს შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში (01.09.2022წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (დამტკიცებულია 18.02.2022 წლის N25 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს და საჭიროების შემთხვევაში მოქმედების მექანიზმებს. კოლეჯის შენობა-ნაგებობებში (ზ. ანჯაფარიძია ქ. N61, ნიკეას ქ. N15) მოწყობილია მედდის კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი სამედიცინო ინვენტარით. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირია მედდა (ორივე მისამართზე).

3. **დაწესებულებაში მეტწილად მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**

კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული (23.02.2022, N 52 ბრძანება) აქვს საგანგებო მართვის გეგმა ორივე მისამართისთვის (ზ.ანჯაფარიძის ქ. N61, ნიეკას ქ. N15). თუმცა, შეთანხმებული არ აქვს შესაბამის ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა მიმდინარე წლის 23 თებერვლის MES 4 22 0000186901 წერილი შს სამინისტროს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემთანხმების თაობაზე. დაწესებულებას არ მიუღია საპასუხო წერილი გეგმების შეთანხმებაზე, თუმცა წარმოადგინა დირექტორის 23.02 2022 წლის N50 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გეგმით განსაზღვრული პუნქტების შესრულების ვადად განსაზღვრულია 01.09.2022. აქედან გამომდინარე, ***<u>ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი.</u>***

შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება დაასრულოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (01.09.2022წ.)

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

კერძოდ: დაწესებულებას მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის უზურნველყოფის მიზნით ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული შპს უსაფრთხოების სამსახურთან „კასკადი“, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სასიგნალო სისტემებით დაცვას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „კასკადთან“ გაფორმებული ორი ხელშეკრულება, 29.12.2021 N023 და 29.12.2021 N221. ხელშეკრულების საგნის მიხედვით, კომპანია უზრუნველყოფს ქ. ქუთაისში ზ.ანჯაფარიძს ქუჩა N 61 მდებარე სასწავლო დაწესებულებისა და სასწავლო ცენტრის დაცვას. ამასთან, დაწესებულებას ჰყავს დარაჯები. შრომით ხელშეკრულებების თანახმად, დარაჯს ევალება შენობა-ნაგებობებისა და გარე პერიმეტრის ფიზიკური დაცვა 24 საათის განმავლობაში, ასევე კოლეჯის სტუდენტთა და პერსონალთა უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა. დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლში - სამუშაო ადგილი და დრო - ყველა დარაჯის შემთხვევაში მითითებულია 09:00 – 18:00, თუმცა დარაჯები რეალურად ცვლიანობის განრიგით მუშაობენ.

<u>რეკომენდაცია: დაწესებულებამ დარაჯების შრომითი ხელშკერულებით გაწერილი სამუშაო დრო განსაზღვროს შემუშავებული ცვლიანობის განრიგის შესაბამისად და დასვენების ხანგრძლივობა გაწეროს საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-4-ე და მე-7-ე პუნქტების შესაბამისად</u>

მისამართზე ნიკეას ქ.N15 შენობა-ნაგებოების დაცვა და უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა ევალება მხოლოდ დარაჯს.

დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით, შემუშავებულია ვიდეოთვალთვალის დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი (22.02.2022 ბრძანება N48) დოკუმენტით განსაზღვრულია ვიდეოთვალთვალის მიზნები და მოცულობა. კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს უფლებამოსილი პირი და მისი ფუნქციები. წესის შესაბამისად, დაწესებულების (ორივე მისამართზე - ზ.ანჯაფარიძის ქ. N61, ნიეკას ქ. N15) შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები 30 დღიანი ჩანაწერის შენახვის შესაძლებლობით. შენობა-ნაგებობებში თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული ვიდეო ჩანაწერის მიმდინარეობის მაფრთხილებელი ნიშნები.

ვიზიტის დროს გადამოწმდა სისტემის ფუნქციონირება <u>ორივე მისამართზე.</u>
შესაბამისად, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ;
2. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შენობებში სახანძრო და დაცვის (ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა) სიგნალიზაციის მონტაჟის შესახებ;
3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესწყიდვის შესახებ საევაკუაციო კიბის მოწყობის თაობაზე (25.01.2022, N17);
4. სახანძრო უსაფრთოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N 24 (24.03.2021)
5. სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობა - მიწერილობა N1010 (20.07.2020) - სახანძრო უსაფრთხოების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე;
6. უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი;
7. მიღება-ჩაბარების აქტი ხანძარსაწინააღდეგო მოწყობილობების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ;
პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
8. საგანგებო სტუაციების მართვის გეგმა;
9. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
10. შს სამინისტროს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე გაგზავნილი წერილი;
11. მედდის შრომით ხელშეკრულება;
12. სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
13. დაცვის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
14. დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
15. ვიდეოთვალთვალის დროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
16. მიღება - ჩაბარების აქტი ვიდეოსათვალთვალო სისტემების მონტაჟის თაობაზე;
17. ინტერვიუს შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

18. დათვალიერების შედეგი
შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კერძოდ: დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს დაწესებულების პროცესების ეფექტიან წარმართვას. კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული ისე სასწავლო პროცესის წარმართვას. კოლეჯის (ორივე მისამართზე - ზ.ანჯაფარიძის ქ. N61, ნიეკას ქ. N15). კომპიუტერების პროგრამული უზურნველყოფა შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებთან და სტუდენტთა რაოდენობასთან.

დაწესებულებაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, რაც დასტურდება ადგილზე გადამოწმებით და ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტით.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები (დამტკიცებულია 24.02.2021 წლის N 23 ბრძანებით) და სსიპ კოლეჯი „იბერია“ IT რისკების მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტურად მართვის წესი (05.11.2020 წ, N 250 ბრძანება). სისტემის მართვაზე პასუხისმგებელია ქსელის ადმინისტრატორი.

კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით, ქსელის ადმინისტრატორს მიერ ხორციელდება NAS სერვისი კონფიგურაცია და ინფორმაციის მასზე განთავსება, ასევე დაწესებულების თანამშრომლებს აქვთ საშუალება მნიშნელოვანი ინფორმაციის რეზერვირება მოახდინონ Office 365- ის პლატფორმაზე. სრულფასოვანი შეუფერხებელი მუშაობისათვის ქსელი დაცულია ქსელთაშორისი ფაიერვოლით. კოლეჯი ვირუსების აცილების მიზნით ახორციელებს სისტემების შესაბამის კონტროლს.

ქსელის ადმინისტრატორთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვას შემუშავებული რეგულაციის თანახმად.

3. დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს პეროსნალურ მონაცემთა დაცვის შესახებ წესი (27.07.2020, N146). მარეგულირებელით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, პერსონალური ინფორმაციის სახეები, მონაცემთა დამუშავების პრინციპები, რაც შესაბამისობაშია „პერსოანლურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონთან“. წესის მე-3 მუხლის თანახმად, დაწესებულება უფლებამოსილია დაამუშაოს პერსონალური მონაცემები იმ შემთხვევაში, თუ კი მას მიღებული აქვს სუბიექტისგან წინასწარი თანხმობა. პერსონალური მონაცემთა შესახებ კოლეჯის თანამშრომელთა შრომით ხელშეკრულებებში აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინეულია.

სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დაცვის შემთხვევაში, დაწესებულებამ მართალია, წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრის დამდასტურებელი ოქმები, რომელზე ხელმოწერითაც სტუდენტებმა დააფიქსირეს საკუთარი თანხმობა ფოტო მასალის დამუშავება/გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა, აღნიშნული სრულად არ მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ წესის აღსრულებას, ვინაიდან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, ან ცალკე შეთანხმებაში არ ჩანს სტუდენტის თანხმობა, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით არ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის ბრძანება #94, სსიპ კოლეჯის „იბერია“ გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 14.07.2022წ.), რომლის მიხედვით 15.12.22წ. - მდე დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებების და დამატების შეტანას პროფესიულ სტუდენტის ხელშეკრულების ფორმაში, კოლეჯის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ წესის შესაბამისად.

ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში გაწერილ შესრულების ვადას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო (18.02.2022, N36 ბრძანება). დოკუმენტის მე-7 მუხლში გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების მონიტორინგის საკითხი. კერძოდ, დაწესებულება ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მისი ადმინისტრირების ხელმისაწვდომობის მონიტორინგს, საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობის შეფასებას, ასევე, რამდენად მისაწვდომია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და პერსონალისათვის. თუმცა, აღნიშნული საკითხები არ ჩანს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში (18.02.2022, N34 ბრძანება) და 2022 წლის ხარისხის სამოქმედო გეგმაში.

რეკომენდაცია: სასურველია, დაწესებულებამ საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტიანობის შეფასება განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შესაბამისად და აღნიშნული ასახოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და ხარისხის სამოქმედო გეგმებში.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების განკარგვის წესი (18.02.2022, N27), რომელიც არეგულირებს მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხს როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე დაწესებულების პერსონალისათვის. მარეგულირებელის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობას. პერსონალისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრქსტრუტურა ხელმისაწვდომია ადმინისტრაციული პეროსნალისა და საგანმანათლებო პროგრამების განამხრციელებელი პირებისათვის განაკუთვნილ სამუშაო სივრცეებში. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცეში განთავსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDFEraser Free
დაწესებულებაში უზრუნველყოფილია უკაბელო და ყველასათვის ხელმისაწვდომი ინტერნეტით. ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა დასტურდება ადგილზე გადამოწმებითა და სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგით.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

კერძოდ: დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის ინფრმირებას ერთანი ელექტრონული საკომუნიკაციიო სისტემებით. პერსონალის შიდა კომუნიკაციისათვის დაწესებულება იყენებს კორპორატიულ მეილებს ...@iberiad.edu.ge. ასევე, სტუდენტებისათვის იქმნება ელფოსტის ერთიანი ბაზა. ელფოსტა წარმოადგენს სტუდენტთა ინფორმირებისა და კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას. თუმცა, სტუდენტებთან კომუნიკაციისათვის დაწესებულება იყენებს სოციალურ ქსელსა და ქსელის დახურულ ჯგუფებს. რაც დასტურდება გასაუბრებითა და ადგილზე გადამოწმებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;
2. სსიპ კოლეჯი „იბერია“ IT რისკების მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტურად მართვის წესი;
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ წესი;
4. პერსონალთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებები;
5. პროფესიულ სტუდენტებთან გაცნობით შეხვედრის დამდასტურებელი დოკუმენტები;
6, მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
7. სტუდენტთა და პერსონალთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი (2022 წელი)
8. ვიზუალური დათვალიერების შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

9. ინტერვიუს შედეგი:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესით

კერძოდ: კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N38 ბრძანებით. საქმისწარმოების წესში დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა პროცედურა, მათ შორის: დოკუმენტბრუნვის ორგანიზება, კორესპონდენციის მიღება-რეგისტრაცია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულებების აღრიცხვიანობა, ინდექსისა და რიგითი ნომრის მინიჭება, ბეჭდის გამოყენების წესი და დოკუმენტების არქივისთვის გადაცემის რეგულაციები. დაწესებულების საქმისწარმოების სპეციალისტთან გასაუბრების დროს დეტალურად მოხდა პროცედურების განხილვა თუ რა თანმიმდევრობით, დროის რა დიაპაზონით და რა სიხშირით ხდება რეაგირება როგორც შიდა დოკუმენტზე, ასევე შემოსულ კორესპოდენციაზე. რიგი დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალთა ხელშეკრულებები ზოგ შემთხვევაში არ მოიცავს კოლეჯის საქმისწარმოების წესით გაწერილ ინდექსაციას, რომელიც სასწავლო ხელშეკრულების ნაწილში გულისხმობს აღნიშვნას „ს“, ხოლო შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში - „შ“. ამასთან, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული რიგი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების საკონსტატაციო ნაწილები აცდენილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გაწერილ შესაბამის მუხლთან/პუნქტთან. ვიზიტის დროს, ექსპერტთა მხრიდან შემოწმდა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელიც იყო წესის მიხედვით დანომრილი, ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, თუმცა, არ იყო დახურული შესაბამისი წლების მიხედვით.

რეკომენდაცია: დაწესებულებამ გაასწოროს საქმისწარმოების წესით გაწერილი ხელშეკრულებების აღრიცხვის მექანიზმში, სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესში და შემოსულ კორესპონდენციაზე დაკავშირებული რეაგირების პროცედურაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობები.

პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

კერძოდ: კოლეჯი საქმის წარმოებაში იყენებს “eflow”-ს ელექტრონულ სისტემას, როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციისათვის. ასევე ისეთ თანამედროვე ტექნოლოგიას, როგორიცაა Office 365. შესაბამისად, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის საქმისწარმოებისათვის.

2. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას**

კერძოდ: ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით უზრუნველყოფს სისტემაში ინფორმაციის ასახვას.

3. **პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

კერძოდ: დაწესებულება უზრუნველყოფს ანგარიშებისა და უკუკავშირის დროულად მიწოდებას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებებისათვის, რაც დასტურდება მიღებული და გაგზავნილი კორესპოდენციის გადამოწმებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF EraserFree

1. საქმის წარმოების წესი;
2. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგი;
3. შემოწმებული კორსეპოდენცია;
4. ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;
5. ინტერვიუს შედეგი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

კერძოდ: დაწესებულების საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს კოლეჯის ვებგვერდი - http://iberia.edu.ge/ და სოციალური ქსელი https://www.facebook.com/college.iberia. გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების შესაძლებლობა. ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ვებ გვერდზე მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობაზე, მისამართებსა და ფილიალზე, ასევე სტუდენტურ პანსიონზე. დაწესებულების ვებ გვერდსა და სოციალ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ვებ გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: დაწესებულების სტრუქტურა, მისია, ხედვა და ღირებულებები, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, აქტები სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ, ინფორმაცია სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობებზე, ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ.

დაწესებულებამ წარმოადგინა დომეინისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კერძოდ: დაწესებულებას მისიით არ აქვს განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტები ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, თუმცა აქვს ორენოვანი (ქართული/ინგლისური) ვებგვერდი.

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (28.02.2022, N60 ბრძანება). მარეგულირებლის თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობას/კომუნიკაციას წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელსაც ევალება კოლეჯის მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძებების, პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების გონივრულ ვადებში მიწოდებას. წესში გაწერილია ვებ გვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის სახეობა. დაწესებულება უზრუნველყოფს პსდ-ს საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის განთავსებას.

საზოგადოებასთან ურთიერთბის/კომუნიკაციის წესი არ არეგულირებს ისეთ საკითხს, როგორიცაა ინფორმაციის გაცემის წესი. ***<u>რეკომენდაცია: სასურველია, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში ასახოს ინფორმაციის გაცემის პროცედურა.</u>***

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ**

კერძოდ: დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს შემდეგს: ინფორმაციას დაწესებულების შესახებ, საგანმანათლებლო პრგორამების მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, მოცულობის, ხანგრძლივობის, შეფასების სიტემების, დასაქმების შესაძლებლობის შესახებ და სხვა. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კერძოდ: დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია 2022 წლის განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. იმისათვის, რომ თვალსაჩინო იყოს პროგრამების კატალოგის განახლება, პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად სასურველია ვებ გვერდზე განთავსდეს წინა წლების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგების არქივი.

რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ შემდგომში აწარმოოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი.

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

კერძოდ: დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კოლეჯი მუდმივად იყენებს სხვადასხვა არხებიდან მიღებულ უკაკავშირს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, თუმცა აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული და გაწერილი შესაბამისი დოკუმენტით.

რეკომენდაცია: სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი;
2. დაწესებულების ოფიციალური სოციალური ქსელი;
3. სახელმწიოფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები ჰოსტინგისა და დომეინის თაობაზე;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
5. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
6. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის დათვალიერების შედეგი;
7. ინტერვიუს შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება**

კერძოდ: კოლეჯი „იბერია“ წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ბიუჯეტი, ძირითადად, შედგება ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებისაგან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით

კერძოდ: დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზურველყოფილია ფინანსური რესურსით, რაც შედგება ვაუჩერიდან და პროგრამული/მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლებით. ამასთან, კოლეჯი აწარმოებს ბოლო წლების დაფინანსების დინამიკას, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული ფინანსების გათვალისწინებით.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

კერძოდ: საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშგების საკითხებს. კანონის მე-2 მუხლის ე) ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ აქვს ვალდებულება საკუთარი ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნოს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე. დაწესებულების გასული წლის ფინანსური ანგარიშგება განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე:

http://iberia.edu.ge/%e1%83%a4%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a1%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98-%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/.

ამასთან, დაწესებულება აწარმოებს გასული წლების შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკას. შესაბამისად, დაწესებულება უზრნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

კერძოდ: დაწესებულება, დადგენილი შიდა რეგულაციის თანახმად, ყოველი წლის ბოლოს ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც ანთავსებს დაწესებულების ვებგვერდზე. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშსა და მომავალი წლის გეგმის შემუშავების პროცედურას. დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშს ახლავს მცირე რეკომენდაციები, რომელიც 2022 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს ასახავს. ამასთან, პსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ყოველი მომავალი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას ითვალისწინებს წინა წლის შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ფინანსური ანგარიშგება;
2. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები;
3. დაწესებულების ბიუჯეტი;
4. 2018-2022 წლების შემოსავლების დინამიკა;
5. 2022-2025 წლის საიუჯეტო განაცხადი;
6. ფინანსური აღრიცხვის ანგარიშები;
7. ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მე-5 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61, 30 პროფესიული სტუდენტი - მოდულური პროგრამა
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

X. პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

სსიპ კოლეჯმა ,,იბერია“ წარმოადგინა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც განხილულია პროგრამის აქტუალობა, დასაქმების შესაძლებლობა, მისი შესაბამისობა კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით კოლეჯს განსაზღვრული აქვს ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“. ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად არის გამოცხადებული კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 09 ივნისის N101 ბრანება ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშვების მეთოდოლოგიის“ შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დოკუმენტები არ არეგულირებდა საგანამანათლებლო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთების საკითხს, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება ვერ იქნება განხილული შიდა რეგულიაციასთან მიმართებაში, <u>თუმცა, სამომავლოდ, პროგრამების დამატების შემთხვევაში, *სასურველია დაწესებულებამ იხელმძვანელოს სსიპ განათლების ხარისხის განვთარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთების გზამკვლევი დოკუმენტით.*</u>

ვიზიტის ფარგლებში, კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო როგორც კოლეჯის ადმინისტრაცია, ასევე დამსაქმებელი და განმახორციელებელი პერსონალი.

მისიასთან მიმართებაში პროგრამა პასუხობს კოლეჯის მისიას. კოლეჯის მისიაა ,,ქართულ და საერთაშორისო შრომითი ბაზრებისთვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე სამუშაო ძალის მომზადება, მათი ინდივიდუალური, პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

სასურველია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთების დროს, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთების გზამკვლევი დოკუმენტით. (აღნიშნული რეკომენდაცია საერთოა ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის)

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვის“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. აღნიშნული შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტთან.

კოლეჯს დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39-ე ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ წესის მე-11 მუხლით რეგულირდება კოლეჯში უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე შერჩევა, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აპლიკანტებმა პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანება N19-ით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას, კერძოდ,

ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯმა თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში წარმოადგინა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5დონე) პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთება. წარმოდგენილი დოკუმენტის ფარგლებში პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის განხილულია მხოლოდ სასწავლო გარემო, რომელიც ინტეგრირებულად ითვალისწინებს პრაქტიკის გავლას ადგილზე. პროგრამისთვის კოლეჯს ქუთაისში ანჯაფარიძის ქ. N61 -ში გამოყოფილი აქვს B/C (ინტეგრირებული) გარემო - 36.04 კვ.მ. და A გარემო - ფართი 33.72 რომელიც განთავსებულია კოლეჯის მეორე სართულზე პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15; ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არის 30 პროფესიული სტუდენტი.

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, ითვალისწინებს პროფესიული სწავლებისათვის საჭირო ყველა ასპექტს, ამასთანავე მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამით მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა აკმაყოფილებს ახალი მეთოდოლოგიის მოთხოვნებს, სასურველია, კოლეჯმა არსებული რეგულაციის მიხედვით გაწეროს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა რათა თვალსაჩინო იყოს დღეის მდგომარეობით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის თავსებადობა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა კოლეჯის რესურსები, ინტერვიუები განხორციელდა როგორც პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, რომლებმაც ცალსახად დაადასტურეს რესურსებზე ხელმისაწვდომობა. პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკის გავლას პრაქტიკის ობიექტებზე, თუმცა კოლეჯს ჰყავს პარტნიორი ორგანზაციები, რომლებიც აცხადებენ მზაობას შესაბამისი რაოდენობის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფის თაობაზე. პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა ბუღალტრულ აღრიცხვაში“ ფარგლებში იმყოფებოდნენ სასწავლო ექსკურსიაზე პარტნიორ ორგანიზაციაში.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: კოლეჯის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დგინდება ვიზუალური დათვალირებით და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდული.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცებულია/ცვლილებებია შესული კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N 42 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია კოლეჯის წესდებით (მე-5 მუხლი) და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლის საფუძველზე.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

პროგრამის დასახელება - ბუღალტრული აღრიცხვა იდენტურია საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდების და შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია კანონმდებლობით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის) “ბუღალტრული აღრიცხვა” საფუძველზე და შესაბამისად მასში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.
პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ასევე ახლავს დისტანციური სწავლების დროს სარეკომენდაციო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დისტანციური სწავლების მიზანშეწონილობა კონკრეტული მოდულების ფარგლებში, შედეგების დადასტურება, დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენებით, საჭირო რესურსი და სხვ.

მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მისია და სტრატეგიული გეგმა განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე - www.iberia.edu.ge;
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2018 წლის 31 იანვრის N27 ბრძანება ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ (ცვლილება ბრძ N42, 21.02.2022)
3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება
4. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანება N19 ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.
5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდება“;
6. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

წარმოდგენილი პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული A და B/C გარემო შესაბამისი აღჭურვილობით 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. კოლეჯი აღნიშნულ ფართზე ახორციელებს სწავლებას ორ ცვლაში, შესაბამისად, აღნიშული ფართი უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი აუდიტორიების დათვალიერება, აღმოჩნდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი აუდიტორია, მათ შორის ერთი აუდიტორია განკუთვნილია B გარემოსთვის, სადაც ამჟამად განთავსებულია 15 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისთვის, ერთი კომპიუტერი კი მასწავლებლისთვის. აღნიშნული აუდიტორია გამოიყენება ასევე C გარემოსთვის პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. აღნიშნული აუდიტორია აღჭურვილია 1 პროექტორით, დაფით, კომბაინით (პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი), მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამით, კომპიუტერებში დაინსტალირებულია საბუღალტრო სასწავლო პროგრამა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. აღნიშნული პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ასევე კიდევ ერთი აუდიტორია, აღჭურვილი მერხებით, სკამებით, დაფით, აღნიშნული აუდიტორია განკუთვნილია პროგრამის ფარგლებში თეორიული კომპონენტის და ზოგადი მოდულების სწავლებისთვის. კოლეჯს მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ ფარგლებში გაფორმებული აქვს ორი მემორანდუმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს ქ. ქუთაისში განსაზღვრული ჰყავს 6 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N 54-ე ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში პერსონალის მოზიდვის და შერჩევის წინაპირობებს, რომლის თანახმად პერსონალის შერჩევა ხორციელდება სამუშაო აღწერილობების, სტრუქტურული ერთეულის დებულების და პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში მისაღწევი სწავლის შედეგის შესაბამისად შემუშავებული დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების დარგობრივი კომპეტენცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების გამოცდილება ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

თვითშეფასების ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედითაც ისინი დადებითად აფასებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, კერძოდ, მათ კომპეტენციას. პროფესიული სტუდენტების შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია. პროფესიულ მასწავლებელთა კომპეტენციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შეფასების თვალსაზრისით გამოკითხვის შედეგებით საყურადღებო საკითხი არ გამოკვეთილა, ისევე როგორც მათი რაოდენობისა თუ დატვირთვის კუთხით. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების დროს მათ ცალსახად გამოხატეს პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციით კმაყოფილება.

ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მათი კომპეტენცია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.** საგანმანათლებლო პროგრამას კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად ჰყავს განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, ასევე, აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. აღნიშნული დაადასტურებს პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრების დროს.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ:** დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. შერჩევითი პრინციპით შემოწმდა საგანმანათლებლო რესურსის ფლობა ბიბლიოთეკაში. ყველა რესურსი იყო დამუშავებული და ხელმისაწვდომი. კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ორი კომპიუტერი, მულტიფუნქციური ასლგადამღები, პრინტერი, სკანერით. კომპიუტერში ჩაწერილია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო რესურსის ელექტრონული ვერსია. პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. აღნიშნული დადებითად არის შეფასებული ასევე პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარებში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კოლეჯის შენობა ადაპტირებულია, რომელიც იძლევა სხვადასხვა საჭიროების მქონე პრიების სასწავლო პროცესში ჩართვის საშუალებას. კოლეჯში სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოთხოვნილებები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანებით ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმპ ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული. ამ მიზნით კოლეჯს წინამდბარე დოკუმენტის ფარგლებსი გაწერილი აქვს სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ:

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს 850 000 ლარის ასიგნება. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი მიზნებისთვის:

1. საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისთვის;
2. ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებისთვის;
3. სხვა ხარჯების დასაფარად.

პროგრამის განხორციელებისათვის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება 30 პროფესიულ სრუდენტზე შეადგენს 93420 ლარს. სულ ხარჯი არის 68620 ლარი. კოლეჯს ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი წელიწადში 60 000 ლარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

ამ ეტაპზე ბაკალავრული აღრიცხვის პროფესიულ პროგრამაზე ქუთაისში ირიცხება 11 სტუდენტი. რენტაბელობის ზღვარი არის 10 სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
2. ა(ა)იპ-კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის ბრძანებით №19 (28.01.2020 წ). „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ“.
3. მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთებით;
4. დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“-ს დამტკიცების შესახებ;
5. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანება ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ
6. დაწესებულების ვებგვერდით http://iberia.edu.ge/
7. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
8. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
9. ვიზუალური დათვალიერებით;
10. ინტერვიურებით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

კოლეჯს დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34-ე ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელსაც გამოიყენებს საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასება/განვითარებისთვის ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯს შემუშავებული და დირეტორის ბრძანებით (N126, 7.07.2020) დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“. აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს: პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებთან. მექანიზმი ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლურ სისტემას.

ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას, შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნელყოფის მიზნით და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

თვითშეფასების ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტის გამოკითხვარის კითხვარები შესაბამისი ანალიზითა და რეკომენდაციებით, თუმცა აღნიშნული გამოკითხვებით ვერ ვიმსჯელებთ, თუ რამდენად იყენებს დაწესებულება აღნიშულ მექანიზმს, ვინაიდან დოკუმენტი დამტკიცებულია 2020 წელს, 2022 წელს განხორციელდა შიდა დაინტერესებული პირების კმაყოფილების კვლევა, რაც ინტერვიუს დროს დაადასტურეს როგორც პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა, ხოლო შიდა დაინტერესებული პირების კმაყოფილების კვლევის შედეგების გაანალიზება მოხდება 2022 წლის ბოლოს.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDFEraser Free

დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ ითვალისიწნებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად ცვლილებების განხორცილებას:

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე.

მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

სსიპ კოლეჯის იბერია დირექტორის 2019 წლის 5 მარტის N70 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება კვალიფიკაციის ფორმულირებასთან დაკაშირებით და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ,,უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში“. ინტერვიუს ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელმა და ჩართულმა პირებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ასევე მოდულების რიგითობის გადანაცვლება, რაც სწავლების დროს მათი დაკვირვებით და პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებიდან გამოიკვეთა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34-ე ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტის გამოკითხვარის კითხვარები შესაბამისი ანალიზითა და რეკომენდაციებით;
4. ინტერვიურებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა გაწერილია სასწავლო კვირეების მიხედვით და მოიცავს 69 სასწავლო კვირას (20 თვე). ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ინტერვიუ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. მათ დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება გეგმის მიხედვით.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და კონსულტაციის გაწევის, განმეორებითი შეფასების, შეფასების გასაჩივრების წესი; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს.

ასევე, განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, კვალიფიკაციის მინიჭების და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.** კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით/მოდულებით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან. კოლეჯი პროფესიული პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შესწავლისთვის იყენებს სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო ტექნოლოგიურ რესურს, კერძოდ, კომპიუტერულ ტექნიკას, ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამას, რომელიც ჩატვირთულია პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში.

პროგრამის განხორციელების პროცესში კოლეჯის მიერ, ასევე, გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება/ტრენინგები სწავლებაში დარგის უახლესი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების დანერგვის მიზნით. აღნიშნული დასტურდება როგორც წარმოდგენილი პირადი საქმეებით, ასევე დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს სსიპ კოლეჯ - ,,იბერიას“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობას - ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რის მეშვეობითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯის სტუდენტები ინფორმირებულები არიან მათ უფლებებზე, რომელიც ასევე ითვალისიწნებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

პროფესიული პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტის არსებობას და იძლევა საშუალებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდეს ადგილზე, შესაბამისი პროგრამით უზრუნველყოფილ B გარემოში. კოლეჯს გაფორმებული აქვს მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ მიზნებისთვის მემორანდუმი ორ დაწესებულებასთან, კერძოდ ააიპ-,,განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი“ და შპს ,,აქტივი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმა ხორციელდება სსიპ კოლეჯში „იბერია“, მის:ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61-ში, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირების მიერ, მოქმედებს ვიდეო სათვალთვალო სისტემა.

თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, განთავსებული სახანძრო სტენდები და ცეცხლმაქრი ბალონები. შენობის სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის.

შრომის უსაფრთხოების მართვა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N51 ბრძანებით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების მოთხოვნებს სწავლის დაწყებამდე, საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების ინსტრუქციას და უსაფრთხოების მოთხოვნებს სასწავლო დღის ბოლოს. ასევე, 2022 წლის 18 თებერვლის N25 ბრძანებით კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2018 წლის 31 იანვრის N27 ბრძანება ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ (ცვლილება ბრძ N42, 21.02.2022);
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

3. სსიპ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N51 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“,
4. 2022 წლის 18 თებერვლის N25 ბრძანება ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“;
5. მემორანდუმებით;
6. ინტერვიუირებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
   კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასებამდე 2 კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. წარმოდგენილ ინსტრუმენტს აფასებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი.
   პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური;
   შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
   შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრონველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ცნობილია გასაჩივრების პროცედურები, თუმცა ამის საჭიროება არ ჰქონიათ. ასევე, აქვთ ინფორმაცია, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა ორი კვირის ვადაში, ხოლო თუ მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია განმეორებით დადასტურებაზე გავიდეს პროგრამი ამოწურვამდე.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ:

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან ოთხ თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს.

შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. რისკ-ფაქტორებია:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი);
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;
- კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯში მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, თუ რამდენად იყო ან არ იყო პროფესიული სტუდენტის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა.
ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.
ვიზიტის ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა 2022 წლის იანვრის ვერიფიკაციის დასკვნა, შემოწმებულ იქნა პროფესიული პროგრამის ერთ-ერთი მოდულის ყველა შედეგის შეფასების ინსტრუმენტების როგორც ტექნიკური მხარე, ასევე შინაარსობრივი ნაწილივერი. ვერიფიკაციის დასკვნა შემოიფარგლა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებით.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

კოლეჯი 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულის დასრულებამდე;
მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტით მოდულის სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოადგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში;

პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშოა დღისა; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენენ ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა სახელობით სიასთან ერთად.

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს - 3 (სამი) წლის ვადით შესანახად, რის შემდეგაც, აქტის საფუძველზე, მოხდება პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად;

პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ინტერვიუს დროს კოლეჯის ადმინისტრაციამ, პროფესიულმა მასწავლებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა აღნიშნული რეგულაციის დაცვა.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარისხის სამსახურს.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუირების დროს პროფესიულმა სტუდენტებმა და მოდულის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა დაადასტურეს აღნიშული მექანიზმის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
3. ინტერვიუირებით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მე-3 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity;
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61 30 პროფესიული სტუდენტი - მოდულური პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მზარდი დარგია სამკერვალო წარმოება, შესაბამისად გაზრდილია მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ კადრებზე. კოლეჯში ყოველწლიურად იზრდებოდა ამ პროფესიით დაინტერესებულთა მომართვიანობა, როგორც ახალგაზრდა, ისე ასაკიანი პროფესიული სტუდენტების, რომლებიც სამკერვალო წარმოების პროგრამაზე სწავლას უკავშირებენ თავიანთ კარიერულ მიზნებს.

კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ სგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

წარმოდგენილია კოლეჯ „იბერიას“-ს დირექტორის N19 ბრძანება (2020 წლის 28 იანვარი) - სსიპ „კოლეჯის „იბერია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 331 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები, კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები.

ინტერვიურებისას, კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი პარამეტრები:

- მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო (A, B და C გარემო).
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა.
- საწარმო პრაქტიკის ობიექტების რესურსი.
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დანართის“ მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი კვოტა განსაზღვრულია 45 პროფესიულ სტუდენტზე. სამი სასწავლო ჯგუფი, თითოეულში 15 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. რაც შესაბამისობაშია მეთოდოლოგიასთან.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია A, B და C გარემო. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სამკერვალო წარმოება“ არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19.06.2019 წ. N129/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯ „იბერიას“ წესდება, რომლის მიხედვით (მუხლი 5. ქვეპუნქტი „ი“) დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას. დაწესებულებას დირექტორის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის №126 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების, შესახებ“.
საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „სამკერვალო წარმოება“ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგები ზუსტად არის განსაზღვრული.
შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია 2021 წლის 20 თებერვლის ბრძ.№140303 დამტკიცებული „სამკერვალო წარმოების“ ჩარჩო დოკუმენტი, სარეგისტრაციო ნომერი 07120-პ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულიც (A2 – 15 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს, ჯამური 17 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს, ჯამური 83 კრედიტის მოცულობით. ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 100 კრედიტს და სწავლის ხანგრძლივობაა 77 კვირა -20 სასწავლო თვე;

დაწესებულებას აგრეთვე, წარმოდგენილი აქვს 2021 წლის 20 თებერვალს ბრძ. №140303 დამტკიცებული ჩარჩო-დოკუმენტის დანართი 2 - „სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“. დამტკიცების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა რომლის მიხედვითაც ხდება სასწავლო პროცესის ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისთვის ვადები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ვიზიტის დროს ექსპერტებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები არ იყო ერთმანეთთან თანხვედრაში, ვინაიდან როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს ცვლილებები, რომელიც შევიდა პროგრამაში შეეხება 2022 წლის და შემდგომ მიღებებზე ჩარიცხვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტებს და ამიტომ ცვლილებები არ შეხებია მოქმედ ჯგუფებს, თუმცა ამის შესახებ არ იკითხება ცვლილების შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტში.

სასურველია, პროგრამის დამტკიცების/მასში ცვლილებების შეტანის დროს, ბრძანებაში მითითებულ იქნას რომელი მიღების პროფესიულ სტუდენტებს შეეხება აღნიშნული ცვლილება და რომელი გააგრძელებს სწავლას მილევად რეჟიმში დარჩენილი პროგრამით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ წესდებით;
2. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სასწავლო პროცესის მარეულირებელი წესი (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №39; 21.02.2022 წ.);
3. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ მისიით;
4. სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სტრატეგიული განვითარების გეგმით;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
7. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით(№41 24.03.2021 ბოლო ცვლილება №28 18.02.2022);
8. სსიპ კოლეჯ „იბერიაში “პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“(დამტკ.ბრძ.№19; 28.01.2020წ);
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 28 იანვრის №19 ბრძანებით დამტკიცებულია - „კოლეჯის ,,იბერია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფორმა №4 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ“ შესაბამისობაშია ექსპერტთა მიერ ვიზუალურად დათვალიერებულ გარემოსთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 45-ს. კოლეჯი პირველ გამოცხადებაზე გეგმავდა 30 პროფესიულ სტუდენტის მიღებას. სადაც ჯგუფები დაკომპლექტდებოდა 15-15 პროფესიული სტუდენტით. აღნიშნულ პროგრამაზე 2021 წლის მიღებაზე დარეგისტრირდა 45 სტუდენტი. გასაუბრებაზე გამოცხადდა 35 სტუდენტი. აქედან საბუთების წარმოდგენა დადგენილ ვადებში მხოლოდ 21-მა აპლიკანტმა შეძლო. შესაბამისად დაკომპლექტდა ორი ჯგუფი I-12 სტუდენტი და II -ჯგუფში 9 სტუდენტი. პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ამ მიმართულებით კოლეჯს ჰყავს 7 მსმენელი.

დაწესებულებაში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. ექსპერტთა მიერ ვიზუალური შემოწმებისას დადგინდა, რომ ყველა გარემო უზრუნველყოფილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის საჭირო მატერიალური რესურსით, დაფით, კომპიუტერითა და პროექტორით. A და B გარემოში სწავლა განხორციელდება ორ ცვლაში.

ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ A და B გარემო ორცვლიანი დატვირთვის შემთხვევაში გამტარუნარიანია. პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ სწავლების ხანგრძლივობა არის 20 სასწავლო თვე. სახელოსნოს კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 სთ-ს. სასწავლო გეგმა ისე არის გაწერილი, რომ თითოეული ჯგუფისთვის C გარემოს დატვირთვა არ აღემატება 5 საათს, რაც სამცვლიანი სწავლების განხორციელების საშუალებას იძლევა.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 3 პროფესიული მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია. მათი სამუშაო

გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მომავალში დაგეგმილია მათი განვითარების ღონისძიებები. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
მეთოდებს და შეფასების წესებს, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. დაწესებულების დირექტორის №30 ბრძანებით (05.03.2021 წ.) დამტკიცებულია პროგრამა და ხელმძღვანელი მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამაში. დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა.
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. პსდ-მ წარმოადგინა არსებული სასწავლო რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში აგრეთვე, ადაპტირებულ მოდულებში განსაზღვრულ სასწავლო რესურსთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი შექმნილია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და სრულად ფარავს პროგრამის მოდულებს. ასევე, მათ მიერ დამატებულია სახელმძღვანელოები ბეჭდური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება შესაძლებელია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
კოლეჯმა წარმოადგინა 2019 წლის 25 სექტემბრის N343 (ცვლილება-2022 წლის 18 თებერვლის N26) ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულება“ და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. პროგრამის განხორციელებისთვის საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალურად, ასევე ბიბლიოთეკაში დაცულ CD/DVD დისკებზე. მათი მოხმარება დარეგულირებულია დოკუმენტით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.

დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგის ლინკი, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ მისთვის სასურველი რესურსი http://www.library.iberia.edu.ge/home/index.php .

ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკის გარემო. ინტერვიურებისას სტუდენტებმა აღინიშნეს, რომ ძირითადად ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს იყენებენ, რადგან ეს უფრო კომფორტული და მისაღებია.

6 . სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯში ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სწავლება, რაც გულისხმობს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის მიწოდებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

კოლეჯში სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოთხოვნილებები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანებით ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“

სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს უნივერსალური დიზაინის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმპ ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული.

აღნიშნული პროგრამის ფარგლები დაწესებულებას ჰყავს ერთი სსსმ პირი, რომელთანაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება ჯერ არ დამდგარა.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს 850 000 ლარის ასიგნება. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი მიზნებისთვის:

1. საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისთვის;
2. ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებისთვის;
3. სხვა ხარჯების დასაფარად.

პროგრამის განხორციელებისათვის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება 45 პროფესიულ სრულდენტზე შეადგენს

273960 ლარს. სულ ხარჯი არის **208500** ლარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კოლეჯს ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი წელიწადში 60 000 ლარი.

ბიუჯეტი საკმარისია პედაგოგების ხელფასისთვის, სასწავლო მასალებისთვის, ადმინისტრაციის და სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
2. ა(ა)იპ-კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის ბრძანებით №19 (28.01.2020 წ). „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ“;
3. მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთებით;
4. დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“-ს დამტკიცების შესახებ;
5. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანება ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ;
6. დაწესებულების ვებგვერდით http://iberia.edu.ge/
7. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
8. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
9. ვიზუალური დათვალიერებით;
10. ინტერვიურებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება, რაც უზრუნველყოფილია ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით.

აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. კერძოდ:

- პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლურ სისტემას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად შიდა მექანიზმების საშუალებით.
- ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDFEraser Free

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას, შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ:

- პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
- პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე.
- მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

- პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34-ე ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტის გამოკითხვარის კითხვარები შესაბამისი ანალიზითა და რეკომენდაციებით;
4. ინტერვიურებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ინტერვიუ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. მათ დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება გეგმის მიხედვით.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და კონსულტაციის გაწევის, განმეორებითი შეფასების, შეფასების გასაჩივრების წესი; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. ასევე განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, კვალიფიკაციის მინიჭების და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია თანამედროვე ხელსაწყოებითა და ინვენტარით. ინტერვიურებისას პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით.
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა სახლისა და კოლეჯის მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში.
ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს სსიპ კოლეჯ - ,,იბერიას“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობას - ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რის მეშვეობითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯის სტუდენტები ინფორმირებულები არიან მათ უფლებებზე, რომელიც ასევე ითვალისიწნებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან:

- ი/მ მზია ბანძელაძე.
- სააქციო საზოგადოება სამკერვალო ფაბრიკა ,,იმერი“.
- კომპანია შპს „MGtax”.

სტუდენტებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პარტნიორ კომპანიებში ვიზიტი უკვე განხორციელდა გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში.

მემორანდუმებში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. მემორანდუმები ფარავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სსიპ კოლეჯში „იბერია“, მის: ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61.

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირების მიერ, მოქმედებს ვიდეო სათვალთვალო სისტემა.

თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, განთავსებული სახანძრო სტენდები და ცეცხლმაქრი ბალონები. შენობის სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის, მუშაობს ლიფტი.
შრომის უსაფრთხოების მართვა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N51 ბრძანებით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“, ასევე 2022 წლის 18 თებერვლის N25 ბრძანებით ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“

C გარემოში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოკრულია საკერავ მანქანასთან და ტენთბურ დანადგარებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. სსიპ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N51 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. 2022 წლის 18 თებერვლის N25 ბრძანება ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“;
4. მემორანდუმებით;
5. ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასებამდე 2 კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. წარმოდგენილ ინსტრუმენტს აფასებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი.

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური;

შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრონველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.

პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ცნობილია გასაჩივრების პროცედურები, თუმცა ამის საჭიროება არ ჰქონიათ. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა ორი კვირის ვადაში, ხოლო თუ მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია განმეორებით დადასტურებაზე გავიდეს პროგრამი ამოწურვამდე.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ:

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან ოთხ თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს.

შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. რისკ-ფაქტორებია:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი);
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;
- კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯში მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, თუ რამდენად იყო ან არ იყო პროფესიული სტუდენტის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ვიზიტის ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა 2022 წლის იანვრის ვერიფიკაციის დასკვნა, შემოწმებულ იქნა პროფესიული პროგრამის ერთ-ერთი მოდულის ყველა შედეგის შეფასების ინსტრუმენტების როგორც ტექნიკური მხარე, ასევე შინაარსობრივი ნაწილიერი. ვერიფიკაციის დასკვნა შემოიფარგლა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებით.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

კოლეჯი 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულის დასრულებამდე;

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტით მოდულის სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოადგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში;

პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულზე სწავლის დასრულებიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენენ ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა სახელობით სიასთან ერთად.

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს - 3 (სამი) წლის ვადით შესანახად, რის შემდეგაც, აქტის საფუძველზე, მოხდება პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად;

პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი.

ინტერვიუს დროს კოლეჯის ადმინისტრაციამ, პროფესიულმა მასწავლებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა აღნიშნული რეგულაციის დაცვა.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარისხის სამსახურს.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუირების დროს პროფესიულმა სტუდენტებმა და მოდულის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა დაადასტურეს აღნიშული მექანიზმის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია ასე-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის *თმის მომსახურება* შესახებ

პროგრამის სახელწოდება	თმის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	- 10119-პ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61, საფოსტო ინდექსი - 4600 საქართველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30პროფესიული სტუდენტი
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

X პროგრამის "თემის მომსახურება "ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
მერქნული მასალების დამუშავებისა და ავეჯის წარმოების სფეროს კონკურენტუნარიანი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრით უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯი, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და უნივერსალური დიზაინის შესაბამისი აღჭურვილობით, მზადაა განახორციელოს ,,ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულური მიდგომით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯს შეუძლია მოამზადოს კადრი, რომელიც იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება / Wood, Stone and Metal Artistic Processing - სარეგისტრაციო ნომერი - 02123-პ.

აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს ,,ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს.

დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

კოლეჯის ადმინისტრაციას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (ბრძ. N19, 28.012020), რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

კოლეჯის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 20. პროგრამა ხორციელდება ქ. ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61-ში, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილ სასწავლო გარემოში

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ლიტერატურა ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამა შეიცავს არჩევით მოდულებს: ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება, იატაკის მოწყობა, რომლებიც ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ პროფესიულ მოდულებთან და ავსებს პროფესიულ კვალიფიკაციას.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ხის მხატვრული დამუშავება“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 05 მარტის N30 ბრძანებით (ცვლილება ბრძ. N29, 18.02.2022) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდებისა“ და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება ,,ხის მხატვრული დამუშავება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ეყრდნობა პროგრამის შემადგენელი ნაწილების - მოდულების თემატიკას, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

შექმნას კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ნაკეთობათა ესკიზი/ნახაზი

დაამუშავოს მერქანი და მერქნული მასალა

ააწყოს და მოაპირკეთოს ხის ნაკეთობები

განახორციელოს მარტივი და რთული მხატვრული კვეთა ხეში

განახორციელოს კომპიუტერული დანადგარების გამოყენებით ხის მხატვრული დამუშავება

დაამზადოს ხის მხატვრული ნიმუში მოზაიკური ტექნოლოგიით

შექმნას ხის წნული ნაკეთობები

განახორციელოს ხის ნაკეთობების შეკეთება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რომლის სარეგისტრაციო ნომერია 02123-პ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მისია და სტრატეგიული გეგმა განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე - www.iberia.edu.ge;
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 05 მარტის N30 ბრძანება ,,ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამის დამტკიცების შესახებ;
3. (ცვლილება ბრძ. N29, 18.02.2022);
4. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
5. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანება N19 ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
6. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18.02. N26 ბრძანება ,,ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების“ შესახებ;
7. პროგრამაში შემავალი მოდულების და სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი;
8. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდება“;
9. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 20 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი A, B, C გარემოს აღჭურვილობა და საჭირო მატერიალური რესურსის არსებობა დასტურდება კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციით, ადგილზე დათვალიერებით და აღწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის დანართში N4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია მოდული „გაცნობითი პრაქტიკა“, რომლის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: მომავალი პროფესიული პროფილის განსაზღვრა, სამუშაო გარემოში უსაფრთხოების წესების დაცვა, ქართული ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული ნაკეთობების დახასიათება, სამუშაო გარემოსა და საკუთარი კარიერული შესაძლებლობების აღწერა.

მოდულის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან:

შპს ,,მადერა ჯორჯია“

კომპანია ,,სიარპი ვუდი“

ი/მ ბაბუნაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ პროგრამას ახორციელებს 9 პროფესიული მასწავლებელი, ვიზიტის დროს გადამოწმდა მათ პირად საქმეებში დაცული ინფორმაცია და ასევე მოხდა მათთან გასაუბრება.

პროგრამისათვის განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა რაოდენობა, მათი კვირეული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, დარგობრივ მოდულებს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N 54-ე ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში პერსონალის მოზიდვის და შერჩევის წინაპირობებს, რომლის თანახმად პერსონალის შერჩევა ხორციელდება სამუშაო აღწერილობების, სტრუქტურული ერთეულის დებულების და პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში მისაღწევი სწავლის შედეგის შესაბამისად დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავების“ ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების დარგობრივი კომპეტენცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების გამოცდილება ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

თვითშეფასების ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც ისინი დადებითად აფასებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, კერძოდ, მათ კომპეტენციას. პროფესიული სტუდენტების შეფასებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია. პროფესიულ მასწავლებელთა კომპეტენციის შეფასების თვალსაზრისით გამოკითხვის შედეგებით საყურადღებო საკითხი არ გამოკვეთილა, ისევე როგორც მათი რაოდენობისა თუ დატვირთვის კუთხით. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების დროს მათ ცალსახად გამოხატეს პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციით კმაყოფილება.

ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მათი კომპეტენცია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

საგანმანათლებლო პროგრამას კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად ჰყავს განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ,,ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, ასევე, აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. აღნიშნული დაადასტურებს პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრების დროს.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კერძოდ: დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. შერჩევითი პრინციპით შემოწმდა საგანმანათლებლო რესურსის ფლობა ბიბლიოთეკაში. ყველა რესურსი იყო დამუშავებული და ხელმისაწვდომი. კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ორი კომპიუტერი, მულტიფუნქციური ასლგადამღები, პრინტერი, სკანერით. კომპიუტერში ჩაწერილია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო რესურსის ელექტრონული ვერსია. პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. აღნიშნული დადებითად არის შეფასებული ასევე პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარებში.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო რესურსი საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, ექსპერტის მხრიდან, მოხდა დამატებით, ახალი საგანმანათლებლო რესურსის შეთავაზება პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლებისადმი, რაც გაზიარებულ იქნა მათ მიერ და აღინიშნა, რომ სამომავლოს აუცილებლად მიუთითებენ შეთავაზებულ ლიტერატურას საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალში.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

კოლეჯის შენობა ადაპტირებულია, რომელიც იძლევა სხვადასხვა საჭიროების მქონე პრიების სასწავლო პროცესში ჩართვის საშუალებას. კოლეჯში სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოთხოვნილებები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანებით ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმპ ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ქართული ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული. ამ მიზნით კოლეჯს წინამდბარე დოკუმენტის ფარგლებსი გაწერილი აქვს სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს 850 000 ლარის ასიგნება. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი მიზნებისთვის:

1. საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისთვის;
2. ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებისთვის;
3. სხვა ხარჯების დასაფარად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
პროგრამის განხორციელებისათვის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება 30 პროფესიულ სრუდენტზე შეადგენს **167500** ლარს. სულ ხარჯი არის **153946** ლარი.

კოლეჯს ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი წელიწადში 60 000 ლარი.

ბიუჯეტი საკმარისია პედაგოგების ხელფასისთვის, სასწავლო მასალებისთვის, ადმინისტრაციის და სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯებისთვის

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
2. ა(ა)იპ-კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის ბრძანებით №19 (28.01.2020 წ). „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ“;
3. მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთებით;
4. დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“-ს დამტკიცების შესახებ;
5. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანება ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ;
6. დაწესებულების ვებგვერდით http://iberia.edu.ge/;
7. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
8. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
9. ვიზუალური დათვალიერებით;
10. ინტერვიურებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება, რაც უზრუნველყოფილია ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით.

აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. კერძოდ:

- პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლურ სისტემას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად შიდა მექანიზმების საშუალებით.
- ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას, შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ:

- პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
- პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილიწერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე.
- მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

1. სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34-ე ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტის გამოკითხვარის კითხვარები შესაბამისი ანალიზითა და რეკომენდაციებით;
4. ინტერვიურებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომელიც შედგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაწილეობით. გეგმა შედგება ზოგადი მოდულების და პროფესიული დარგობრივი მოდულებისაგან და თან ერთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავება“ ძირითად დოკუმენტს დანართის სახით: სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ინტერვიუ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. მათ დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება გეგმის მიხედვით.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და კონსულტაციის გაწევის, განმეორებითი შეფასების, შეფასების გასაჩივრების წესი; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს.

ასევე, განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, კვალიფიკაციის მინიჭების და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით/მოდულებით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან. კოლეჯი პროფესიული პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ შესწავლისთვის იყენებს სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო მატერიალურ რესურს და აღჭურვილობას, რაც მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამაში და სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.

პროგრამის განხორციელების პროცესში კოლეჯის მიერ, ასევე, გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება/ტრენინგები სწავლებაში დარგის უახლესი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების დანერგვის მიზნით. აღნიშნული დასტურდება როგორც წარმოდგენილი პირადი საქმეებით, ასევე დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს სსიპ კოლეჯ - ,,იბერიას“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობას - ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რის მეშვეობითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯის სტუდენტები ინფორმირებულები არიან მათ უფლებებზე, რომელიც ასევე ითვალისიწნებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

კოლეჯი პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან:

შპს ,,მადერა ჯორჯია“

კომპანია ,,სიარპი ვუდი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები; პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები; ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სსიპ კოლეჯში „იბერია“, მის:ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61-ში, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირების მიერ, მოქმედებს ვიდეო სათვალთვალო სისტემა.

თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, განთავსებული სახანძრო სტენდები და ცეცხლმაქრი ბალონები. შენობის სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის.

შრომის უსაფრთხოების მართვა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N51 ბრძანებით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების მოთხოვნებს სწავლის დაწყებამდე, საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების ინსტრუქციას და უსაფრთხოების მოთხოვნებს სასწავლო დღის ბოლოს. ასევე, 2022 წლის 18 თებერვლის N25 ბრძანებით კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 05 მარტის N30 ბრძანება ,,ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამის დამტკიცების შესახებ (ცვლილება ბრძ. N29, 18.02.2022);
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. სსიპ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N51 ბრძანება **„**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“;
4. 2022 წლის 18 თებერვლის N25 ბრძანება ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“;
5. მემორანდუმებით;
6. ინტერვიუირებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
   კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასებამდე 2 კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. წარმოდგენილ ინსტრუმენტს აფასებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი.
   პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური;
   შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
   შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.

პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ცნობილია გასაჩივრების პროცედურები, თუმცა ამის საჭიროება არ ჰქონიათ. ასევე, აქვთ ინფორმაცია, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა ორი კვირის ვადაში, ხოლო თუ მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია განმეორებით დადასტურებაზე გავიდეს პროგრამი ამოწურვამდე.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ:

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან ოთხ თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს.

შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. რისკ-ფაქტორებია:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი);
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;
- კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯში მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free
ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, თუ რამდენად იყო ან არ იყო პროფესიული სტუდენტის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.
ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა.
ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.
ვიზიტის ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა 2022 წლის იანვრის ვერიფიკაციის დასკვნა, შემოწმებულ იქნა პროფესიული პროგრამის ერთ-ერთი მოდულის ყველა შედეგის შეფასების ინსტრუმენტების როგორც ტექნიკური მხარე, ასევე შინაარსობრივი ნაწილი. ვერიფიკაციის დასკვნა შემოიფარგლე მხოლოდ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებით.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

კოლეჯი 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულის დასრულებამდე;
მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტით მოდულის სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოადგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მოდულზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

PDF Eraser Free

სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში;

პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშოა დღისა; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენენ ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა სახელობით სიასთან ერთად.

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს - 3 (სამი) წლის ვადით შესანახად, რის შემდეგაც, აქტის საფუძველზე, მოხდება პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი.

ინტერვიუს დროს კოლეჯის ადმინისტრაციამ, პროფესიულმა მასწავლებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა აღნიშნული რეგულაციის დაცვა.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარისხის სამსახურს.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუირების დროს პროფესიულმა სტუდენტებმა და მოდულის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა დაადასტურეს აღნიშული მექანიზმის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

3. ინტერვიუირებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მე-3 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61 30 პროფესიული სტუდენტი - მოდულური პროგრამა
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

X. პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ გადაწყვეტილება ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ქვეყანაში ტექნოლოგიური პროცესის განვითარების კვალდაკვალ გაიზარდა მოთხოვნა ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულებზე. რომლებიც ფლობენ აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს.

კოლეჯს შეუძლია მოამზადოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალისტები.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ - სარეგისტრაციო ნომერი - 10112-პ. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს.
დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

1. მონაწილეობა მიიღოს საბაღე ფართობის ტერიტორიულ მოწყობაში;
2. შეაფასოს და დაამუშაოს ნიადაგი;
3. აწარმოოს ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალა;
4. უზრუნველყოს ხეხილის სხვლა-ფორმირება;
5. უზრუნველყოს ხეხლის დაცვა;
6. აიღოს მოსავალი;
7. მართოს ფერმერული მეურნეობა;
8. დაგეგმოს და განახორციელოს პროდუქტის პირველადი მიღება-რეალიზება.
9. გააშენოს და მოუაროს ჩაის პლანტაციას;
10. აწარმოოს ჩაის ნერგის სარგავი მასალა;
11. უზრუნველყოს ჩაის ფოთლის პირველადი მიღება.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამა შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მისია და სტრატეგიული გეგმა განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე - www.iberia.edu.ge;
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 17 თებერვლის N43 ბრძანება ,,მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ (ცვლილება ბრძ. N44, 22.02.2022);
3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
4. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანება N19 ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
5. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18.02. N26 ბრძანება ,,ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების“ შესახებ;
6. პროგრამაში შემავალი მოდულების და სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი;
7. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდება“;
8. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 15 პროფესიული სტუდენტი.
პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი A, B, C გარემოს აღჭურვილობა და საჭირო მატერიალური რესურსის არსებობა კოლეჯის მიერ დასტურდება ფლობის დოკუმენტაციით, ადგილზე დათვალიერებით და აღწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის დანართში N4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ. ხოლო C გარემო უზრუნველყოფილია სასწავლო საწარმოში კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელიც ასევე აღწერილია დანართში.

მოდულების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან:

1. ააიპ ფონდ ,,აფხაზინტერკონტთან“ არსებული სოციალური საწარმო ,,აგამა“, მის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფ. გეგუთი;
2. შ.პ.ს ,,თ. სულორი“, მის: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალხინო, სოფ. შუამთა;
3. კარტლის აგროსისტემები, მის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვიტირი
4. შპს ,,ანდიტრი“ თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ეწერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იღებდნენ მატერიალურ წახალისებას პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან, თუმცა ამას სისტემური ხასიათი არ ქონია და არ ყოფილა ხელშეკრულებით გაწერილი.

სასურველია, შემდგომში დაწესებულების ჩართულობით მოხდეს პარტნიორ ორგანიზაციასა და სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში სტუდენტების უფლებების, წახალისების ფორმების და სხვა პირობების გაწერა.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ პროგრამას ახორციელებს 20 პროფესიული მასწავლებელი და ინსტრუქტორი, ვიზიტის დროს გადამოწმდა მათ პირად საქმეებში დაცული ინფორმაცია და ასევე მოხდა მათთან გასაუბრება.

პროგრამისათვის განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა რაოდენობა. მათი კვირეული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, დარგობრივ მოდულებს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ: კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N 54-ე ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში პერსონალის მოზიდვის და შერჩევის წინაპირობებს, რომლის თანახმად პერსონალის შერჩევა ხორციელდება სამუშაო აღწერილობების, სტრუქტურული ერთეულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
დებულების და პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში მისაღწევი სწავლის შედეგის შესაბამისიდარგობრივი კომპეტენციის მიხედვით.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის ,,მეხილეობა-მეჩაიეობა“ ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების და ინსტრუქტორების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების გამოცდილება ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. თვითშეფასების ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედითაც ისინი დადებითად აფასებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, კერძოდ, მათ კომპეტენციას. პროფესიული სტუდენტების შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მათი კომპეტენცია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამას კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად ჰყავს განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ,,მეხილეობა-მეჩაიეობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური, აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, ასევე, აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. აღნიშნული დაადასტურებს პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. შერჩევითი პრინციპით შემოწმდა საგანმანათლებლო რესურსის ფლობა ბიბლიოთეკაში. ყველა რესურსი იყო დამუშავებული და ხელმისაწვდომი. კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ორი კომპიუტერი, მულტიფუნქციური ასლგადამღები, პრინტერი, სკანერით. კომპიუტერში ჩაწერილია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო რესურსის ელექტრონული ვერსია. პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. აღნიშნული დადებითად არის შეფასებული ასევე პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარებში.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კოლეჯის შენობა ადაპტირებულია, რომელიც იძლევა საშუალებას სხვადასხვა საჭიროების მქონე პრიების სასწავლო პროცესში ჩართვის. კოლეჯში სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოთხოვნილებები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანებით ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმპ ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული. ამ მიზნით კოლეჯს წინამდბარე დოკუმენტის ფარგლებსი გაწერილი აქვს სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს 850 000 ლარის ასიგნება. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი მიზნებისთვის:

- საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისთვის;
- ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებისთვის;
- სხვა ხარჯების დასაფარად.

პროგრამის განხორციელებისათვის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება 15 პროფესიულ სრუდენტზე შეადგენს **116700** ლარს. სულ ხარჯი არის **40520** ლარი. კოლეჯს ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი წელიწადში 60 000 ლარი. ბიუჯეტი საკმარისია პედაგოგების ხელფასისთვის, სასწავლო მასალებისთვის, ადმინისტრაციის და სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
2. ა(ა)იპ-კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის ბრძანებით №19 (28.01.2020 წ). „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ“.
3. მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთებით;
4. დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“-ს დამტკიცების შესახებ;
5. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანება ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ
6. დაწესებულების ვებგვერდით http://iberia.edu.ge/
7. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
8. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
9. ვიზუალური დათვალიერებით;
10. ინტერვიურებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება, რაც უზრუნველყოფილია ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით.

აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. კერძოდ:

- პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლურ სისტემას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად შიდა მექანიზმების საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას, შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ:

- პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

- პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილიწერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე.
- მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34-ე ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტის გამოკითხვარის კითხვარები შესაბამისი ანალიზითა და რეკომენდაციებით;
4. ინტერვიურებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომელიც შედგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაწილეობით. გეგმა შედგება ზოგადი მოდულების, საერთო დარგობრივი და პროფესიული დარგობრივი მოდულებისაგან. სასწავლო გეგმა გაწერილია სასწავლო კვირეების მიხედვით და მოიცავს 72 სასწავლო კვირას (19 თვე).

რაც შეეხება პარტნიორ საწარმოში განსახორციელებელ აქტივობებს, პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებულ ჩანაწერების ჟურნალში შეტანილია მის მიერ განხორციელებული აქტივობები, დამოწმებული პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ, თუმცა რიგ შემთხვევებში არ იყო მითითებული აქტივობის ჩატარების პერიოდი.

სასურველია, კოლეჯის ადმინისტრაციის და პარტნიორი ორგანიზაციის მიერ პერიოდულად გაკონტროლდეს პროფესიული სტუდენტის მიერ ჩანაწერების ჟურნალის მეტი სიზუსტით წარმოება.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და კონსულტაციის გაწევის, განმეორებითი შეფასების, შეფასების გასაჩივრების წესი; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს.

ასევე, განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, კვალიფიკაციის მინიჭების და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

კოლეჯის მიერ ,,მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო დუალური პროგრამის სასწავლო პროცესი, როგორც კოლეჯში, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების სასწავლო ბაზებზე უზრუნველყოფილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

პრაქტიკის ინსტრუქტორებისთვის ჩატარდა ტრენინგი შუალედური და დასკვნითი შეფასებების სპეციფიკასა და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებით.

კოლეჯის მიერ, ასევე, გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება/ტრენინგები სწავლებაში დარგის უახლესი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების დანერგვის მიზნით.

პროგრამის განხორციელების პროცესში კოლეჯის მიერ, ასევე, გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება/ტრენინგები სწავლებაში დარგის უახლესი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების დანერგვის მიზნით. აღნიშნული დასტურდება როგორც წარმოდგენილი პირადი საქმეებით, ასევე დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს სსიპ კოლეჯ - ,,იბერიას“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობას - ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რის მეშვეობითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯის სტუდენტები ინფორმირებულები არიან მათ უფლებებზე, რომელიც ასევე ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

კოლეჯი პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან:
ფონდ ,,აფხაზინტერკონტთან“ არსებული სოციალური საწარმო ,,აგამა“, შპს ,,კარტლის აგროსისტემები“, შპს ,,თ-სულორი“ და შპს ,,ანდიტრი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია მოდულები, რომლებიც თითოეულ პარტნიორ ორგანიზაციაში უნდა განხორციელდეს. ასევე, განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები; პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები; ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია.

კოლეჯის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად ,,მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროგრამის სავალდებულო პროფესიული და არჩევითი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, რასაც უზრუნველყოფს პარტნიორი ორგანიზაციების ადამიანური და მატერიალური რესურსები.

აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში თითოეულმა ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო ,,მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების განხორციელებისათვის პროგრამაში ჩართო შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი/ინსტრუქტორი.

ასევე განისაზღვრა სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა და შეფასება საწარმოში განხორციელდება, ოთხივე პარტნიორმა საწარმომ კოლეჯთან ერთად მონაწილეობა მიიღო პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებში.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული ნაწილი ხორციელდება სსიპ კოლეჯში „იბერია“, მის:ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61-ში, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირების მიერ, მოქმედებს ვიდეო სათვალთვალო სისტემა.

თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, განთავსებული სახანძრო სტენდები და ცეცხლმაქრი ბალონები. შენობის სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

შრომის უსაფრთხოების მართვა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N51 ბრძანებით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების მოთხოვნებს სწავლის დაწყებამდე, საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების ინსტრუქციას და უსაფრთხოების მოთხოვნებს სასწავლო დღის ბოლოს. ასევე, 2022 წლის 18 თებერვლის N25 ბრძანებით კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 17 თებერვლის N43 ბრძანება ,,მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ (ცვლილება ბრძ. N44, 22.02.2022);
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. სსიპ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N51 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“;
4. 2022 წლის 18 თებერვლის N25 ბრძანება ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“;
5. მემორანდუმებით;
6. ინტერვიუირებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასებამდე 2 კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. წარმოდგენილ ინსტრუმენტს აფასებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი.

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური;

შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრონველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.

პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ცნობილია გასაჩივრების პროცედურები, თუმცა ამის საჭიროება არ ჰქონიათ. ასევე, აქვთ ინფორმაცია, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა ორი კვირის ვადაში, ხოლო თუ მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია განმეორებით დადასტურებაზე გავიდეს პროგრამი ამოწურვამდე.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კერძოდ:

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან ოთხ თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს.

შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. რისკ-ფაქტორებია:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი);
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;
- კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯში მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free
ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, თუ რამდენად იყო ან არ იყო პროფესიული სტუდენტის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.

ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა.

ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ვიზიტის ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა 2022 წლის იანვრის ვერიფიკაციის დასკვნა, შემოწმებულ იქნა პროფესიული პროგრამის ერთ-ერთი მოდულის ყველა შედეგის შეფასების ინსტრუმენტების როგორც ტექნიკური მხარე, ასევე შინაარსობრივი ნაწილი. ვერიფიკაციის დასკვნა შემოიფარგლე მხოლოდ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებით.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

კოლეჯი 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულის დასრულებამდე;

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტით მოდულის სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოადგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მოდულზე სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში;

პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშოა დღისა; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენენ ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა სახელობით სიასთან ერთად.

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს - 3 (სამი) წლის ვადით შესანახად, რის შემდეგაც, აქტის საფუძველზე, მოხდება პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი.
ინტერვიუს დროს კოლეჯის ადმინისტრაციამ, პროფესიულმა მასწავლებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა აღნიშნული რეგულაციის დაცვა.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარისხის სამსახურს.
მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუირების დროს პროფესიულმა სტუდენტებმა და მოდულის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა დაადასტურეს აღნიშნული მექანიზმის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. ინტერვიუერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

IX. ინფორმაცია პირველ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მე-3 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

480

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61, 30 პროფესიული სტუდენტი - მოდულური პროგრამა
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

X. პროგრამის „შედეგები“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა „შედუღების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შემდუღებლის პროფესია იმ პროფესიების ჩამონათვალშია, რომელთა დეფიციტს განიცდის ლითონის კონსტრუქციების მწარმოებელი საწარმოები და სამშენებლო ობიექტები. იმერეთის რეგიონში წლიდან წლამდე იზრდება ლითონის კონსტრუქციებისაგან შესრულებული შენობა-ნაგებობების და სარეკონსტრუქციო სამუშაოების რაოდენობა, რაც საჭიროებს კვალიფიციური შემდუღებლების მომსახურებას. დაწესებულების მხრიდან გამოიკითხა საწარმოებში დასაქმებული შემდუღებლები, რომელთა დიდი ნაწილი ,,თვითნასწავლია“ და მათ ნაწილს დოკუმენტაციასთან მუშაობის უნარ-ჩვევები არ გააჩნია, არ შეუძლია ნახაზის ან ესკიზის წაკითხვა. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ შემდუღებლების დეფიციტს შრომის ბაზარზე იწვევს ასევე ქალაქიდან კვალიფიციური შემდუღებლების გადინება, მათი საზღვარგარეთის ქვეყნებში დასაქმება. დამსაქმებელი ითხოვს სამუშაოს მაძიებლისგან კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, ერიდებიან არაკვალიფიციური პირების დასაქმებას.

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით შედუღება / Welding, სარეგისტრაციო ნომერი - 07310-პ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს მოდულური მიდგომით ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- საბაზო განათლება
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა - ფორმა №IV -100/ა

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯის ადმინისტრაციას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (ბრძ. N19, 28.01.2020), რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და სასწავლო პროცესში მათი გამოყენების ინტენსივობას.

კოლეჯის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

კოლეჯს ,,შედუღების“ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა გააჩნია ძირითად მისამართზე, ქ. ქუთაისში, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61-ში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში არის 30 პროფესიული სტუდენტი - ორი სასწავლო ჯგუფი, თითოეულში 15 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ლიტერატურა ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულებს

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შედუღება“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 27 ოქტომბრის N217 ბრძანებით (ცვლილება - ბრძ. N2, 10.01.2022)

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდებისა“ და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რომლის სარეგისტრაციო ნომერია 07310-პ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამის სახელწოდება ,,შედუღება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ეყრდნობა პროგრამის შემადგენელი ნაწილების - მოდულების თემატიკას, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეადუღოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით
2. გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად
3. შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით
4. დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით
5. შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით
6. შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედუღების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით
7. დაადგინოს დეფექტები და წუნები
8. შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რომლის სარეგისტრაციო ნომერია 07310-პ.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

1. მისია და სტრატეგიული გეგმა განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე - www.iberia.edu.ge;
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 27 ოქტომბრის N217 ბრძანება ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ (ცვლილება - ბრძ. N2, 10.01.2022; ცვლილება ბრძ. N31, 18.02.2022);
3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
4. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანება N19 ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
5. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18.02. N26 ბრძანება ,,ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების“ შესახებ;
6. პროგრამაში შემავალი მოდულების და სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი;
7. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდება“;
8. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დაწესებულებამ წარმოადგინა „პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“. პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free
ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ (მესამე დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პირველ ეტაპზე დაწესებულება პროგრამაზე მიღებას გამოაცხადებს 15 ადგილზე.

ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A, B და C გარემო. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განისაზღვრა შემდეგი სასწავლო გარემო:
A გარემო. ფართობი -35 კვ.მ. შენობა განთავსებულია კოლეჯის სარგებლობაში არსებულ ეზოში. გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. სასწავლო გარემოში შეკიდულია დაფა. სწავლა განხორციელდება პირველ ეტაპზე ერთ ცვლაში. შედგება 1 ჯგუფი. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

B გარემო. ფართობი - 36 კვ.მ. გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად 15 პროფესიულ სტუდენტზე. განთავსებულია კოლეჯის ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე. აღნიშნული გარემო სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. კოლეჯს სულ აქვს 5 კომპიურეტული ოთახი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------


PDF Eraser Free

C გარემო - 55 კვ.მ სივრცეში ვენტილაციის სისტემა დამონტაჟების პროცესშია, რომელსაც შეუერთდება თვითოეული შედუღების დანადგართან დამონტაჟებული გამწოვები. გარემოში იატაკი მოპირკეთებულია უწვი მასალით - კერამიკული ფილით. კოლეჯმა სრულად წარმოადგინა C გარემოსათვის საჭირო მატერიალური რესურსი; *აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მატერიალური რესურსი ამ დროისთვის არ არის დამონტაჟებული C გარემოში და დასაწყობებულია ამავე გარემოს გვერდით მდებარე შენობაში. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მატერიალურ რესურსს, გამწოვის დამონტაჟების პროცესის დასრულების შემდგომ, განათავსებენ C გარემოში. კოლეჯს აღნიშნულ საკითხზე არ წარმოუდგენია შესაბამისობის გეგმა.*

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან მატერიალური რესურსი ვიზიტის დროს არ იყო დამონტაჟებული C გარემოში და დასაწყობებული იყო ამავე გარემოს გვერდით მდებარე შენობაში. **თუმცა,**

დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წრმოდგენილ იქნა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, თანდართული დოკუმენტებით, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამისათვის „შედუღება“ C გარემო უმეტესწილად დასრულებულია, რაც გამოგზავნილი ფოტომასალითაც დასტურდება და საბოლოოდ სამონტაჟო სამუშაოების დასრულების ვადად გაწერილი აქვთ 01.09.2022წ. ამიტომ აღნიშნული პროგრამის 2.2.1.1 ინდიკტორთან შესაბამისობა განისაზღვრა როგორც **მეტწილი.**

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 8. მათ შორის - 2 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასწავლო პროცესის დაწყებამდე, დაწესებულების უფლებამოსილი პირი ახდენს მოდულების განმახორციელებელ პირთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას მოდულების შესაბამისად. განაწილებისას გათვალისწინებულია მათი რეალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
შესაძლებლობები/კომპეტენციები, რომლითაც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N 54-ე ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯში პერსონალის მოზიდვის და შერჩევის წინაპირობებს, რომლის თანახმად პერსონალის შერჩევა ხორციელდება სამუშაო აღწერილობების, სტრუქტურული ერთეულის დებულების და პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში მისაღწევი სწავლის შედეგის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის „შედუღება“ ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების გამოცდილება ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მათი კომპეტენცია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამას კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად ჰყავს განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელი. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
პროგრამის „შეფასება“ ხელმძღვანელი არის კვალიფიციური, აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, ასევე, აქვს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება.
პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით - დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთათვის განკუთვნილი ორი კომპიუტერით, პრინტერით, ასლგადამღები აპარატითა და ელექტრონული კატალოგით.
ელექტრონული რესურსის შემთხვევაში ლიტერატურის დასახელების გვერდით მითითებული არის „ელექტრონული ვერსია“, ამასთანავე მასალა ჩაწერილია დისკზე.
ელექტრონული სახელმძღვანელოები განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე: iberia.edu.ge

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კოლეჯის შენობა ადაპტირებულია, რომელიც იძლევა საშუალებას სხვადასხვა საჭიროების მქონე პრიების სასწავლო პროცესში ჩართვის. კოლეჯში სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოთხოვნილებები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანებით ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმპ ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული. ამ მიზნით კოლეჯს წინამდბარე დოკუმენტის ფარგლებსი გაწერილი აქვს სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სსიპ კოლეჯ „იბერიას“ 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს 850 000 ლარის ასიგნება. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი მიზნებისთვის:

- საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისთვის;
- ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

– სხვა ხარჯების დასაფარად.

პროგრამის განხორციელებისათვის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება 15 პროფესიულ სრულდენტზე შეადგენს

30211 ლარს. სულ ხარჯი არის 29388 ლარი.

კოლეჯს ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი წელიწადში 60 000 ლარი.

ბიუჯეტი საკმარისია პედაგოგების ხელფასისთვის, სასწავლო მასალებისთვის, ადმინისტრაციის და სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
2. ა(ა)იპ-კოლეჯ „იბერიას“ დირექტორის ბრძანებით №19 (28.01.2020 წ). „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ“;
3. მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთებით;
4. დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულების და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“-ს დამტკიცების შესახებ;
5. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანება ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ;
6. დაწესებულების ვებგვერდით http://iberia.edu.ge/
7. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
8. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

9. ვიზუალური დათვალიერებით;
10. ინტერვიურებით

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Erase Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება, რაც უზრუნველყოფილია ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით.

აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. კერძოდ:

- პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლურ სისტემას. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად შიდა მექანიზმების საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას, შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯი, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ:

- პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

- პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილიწერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე.
- მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34-ე ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტის გამოკითხვარის კითხვარები შესაბამისი ანალიზითა და რეკომენდაციებით;
4. ინტერვიურებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომელიც შედგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაწილეობით. გეგმა შედგება ზოგადი მოდულების და პროფესიული დარგობრივი მოდულებისაგან და თან ერთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ ძირითად დოკუმენტს დანართის სახით: სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ინტერვიუ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან, მათ დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი განხორციელდება გეგმის მიხედვით.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და კონსულტაციის გაწევის, განმეორებითი შეფასების, შეფასების გასაჩივრების წესი; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს.

ასევე, განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, კვალიფიკაციის მინიჭების და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით/მოდულებით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან. კოლეჯი პროფესიული პროგრამის „შედუღება“ შესწავლისთვის იყენებს სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო მატერიალურ რესურს და აღჭურვილობას, რაც მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამაში და სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.

პროგრამის განხორციელების პროცესში კოლეჯის მიერ, ასევე, გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება/ტრენინგები სწავლებაში დარგის უახლესი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების დანერგვის მიზნით. აღნიშნული დასტურდება როგორც წარმოდგენილი პირადი საქმეებით, ასევე დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს სსიპ კოლეჯ - ,,იბერიას“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობას - ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რის მეშვეობითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ კომპანიებთან:

შპს „ანი“.

შპს „არტი“.

შპს „ჯითი დიზაინ მეტალი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
კომპანიები ვალდებულებას იღებენ სტაჟირება გაატარონ 5 კურსდამთავრებულს, მონაწილეობა მიიღონ აპლიკანტთა შესარჩევ სამოტივაციო გასაუბრებაში, დაამყარონ მუდმივი კომუნიკაცია სწავლების პროცესის მხარდაჭერისთვის. მემორანდუმის მოქმედების ვადად განსაზღვრულია - 6 წელი. მემორანდუმების გაფორმების ვადაა 2021 წლის 18 დეკემბერი. უსაფრთხო გარემოს შექმნაზე პროფესიულ სტუდენტთა საწარმოებში ვიზიტის პროცესში.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთას მიერ ვიზუალურად შემოწმდება A, B და C გარემო უსაფრთხოების კუთხით. დაწესებულებამ წარმოადგინა უსაფრთხოების წესები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N216 ბრძანებით დამტკიცებულია „შედუღების“ პროგრამის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის ვალდებულებები, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დაწყებამდე, სამუშაოების წარმართვის პროცესში, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები საგანგებო სიტუაციების დროს და შრომის უსაფრთხოების საკითხები სამუშაოს დასრულების შემდგომ.

დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა როგორც შეუსაბამო, გამომდინარე იქიდან, რომ C გარემო ჯერ არ არის აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, უსაფრთხოების საკითხები სპეციფიკის გათვალისწინებით ვერ შეფასდა. ინტერვიუერებისას აღინიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დამონტაჟებისთანავე გამოაკრავენ უსაფრთხოების სპეციალურ წესებს და ინსტრუქციებს. კოლეჯს აღნიშნულ საკითხზე არ წარმოუდგენია შესაბამისობის გეგმა. **თუმცა,**

დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, წრმოდგენილ იქნა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, თანდართული დოკუმენტებით, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამისათვის „შედუღება“ C გარემო უმეტესწილად დასრულებულია, რაც გამოგზავნილი ფოტომასალითაც დასტურდება და საბოლოოდ სამონტაჟო სამუშაოების დასრულების ვადად გაწერილი აქვთ 01.09.2022წ. ამიტომ აღნიშნული პროგრამის 2.4.1.6 ინდიკტორთან შესაბამისობა განისაზღვრა როგორც **მეტწილი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 27 ოქტომბრის N217 ბრძანება ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ (ცვლილება - ბრძ. N2, 10.01.2022; ცვლილება ბრძ. N31, 18.02.2022)
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
3. სსიპ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N51 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“,
4. 2022 წლის 18 თებერვლის N25 ბრძანება ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“;
5. მემორანდუმებით;
6. ინტერვიუირებით

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასებამდე 2 კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. წარმოდგენილ ინსტრუმენტს აფასებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი.

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური;

შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრონველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.
პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ცნობილია გასაჩივრების პროცედურები, თუმცა ამის საჭიროება არ ჰქონიათ. ასევე, აქვთ ინფორმაცია, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა ორი კვირის ვადაში, ხოლო თუ მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია განმეორებით დადასტურებაზე გავიდეს პროგრამი ამოწურვამდე.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან ოთხ თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს.
ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს.

შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. რისკ-ფაქტორებია:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე (3 და მეტი);
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;
- კოლეჯში მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- კოლეჯში მუშაობის მრავალწლიანი (5 წელი და მეტი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, თუ რამდენად იყო ან არ იყო პროფესიული სტუდენტის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა.

ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ვიზიტის ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა 2022 წლის იანვრის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც პროფესიული პროგრამების მოდულების შეფასებას ეხებოდა, მაგრამ ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“ მიღება ჯერ არ განხორციელებულა, შესაბამისად დასკვნაში არ ასახულა აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

კოლეჯი 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულის დასრულებამდე;

მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტით მოდულის სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოადგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში;

პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშოა დღისა; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენენ ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ;

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა სახელობით სიასთან ერთად.

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს - 3 (სამი) წლის ვადით შესანახად, რის შემდეგაც, აქტის საფუძველზე, მოხდება პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად;

პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი.

510

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free
ინტერვიუს დროს კოლეჯის ადმინისტრაციამ, პროფესიულმა მასწავლებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურეს რომ იცნობენ აღნიშნულ რეგულაციას და იმოქმედებენ მის შესაბამისად.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი უწყისში ასახულ შედეგებს 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარისხის სამსახურს.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუირების დროს მოდულის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა დაადასტურეს მზადყოფნა აღნიშული მექანიზმის გამოყენებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
2. სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
3. ინტერვიუირებით

511

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

22.07.2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: